ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 31 (834) | შაბათი, 19 თებერვალი, 1994 წელი | ფასი 1000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თეოდორ სტარჩევიჩს

18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩი, გაეროს სხვადასხვა პროგრამების კურატორები.

განიხილეს და შეაფასეს ჟენევაში გაეროს ეგიდით გამართული სამშვიდობო მოლაპარაკება. საუბარი შეეხო სახელმწიფოს მეთაურის მოსალოდნელ შეხვედრას ბუტროს ბუტროს გალისთან გაეროს შტაბ-ბინაში.

სახელმწიფოს მეთაურს მოახსენეს განვლილი წელიწადნახევრის მანძილზე გაწეული საქმიანობის შედეგები. აღინიშნა, რომ გასული წლის მიწურულს საქართველოში არსებულმა გაეროს მისიამ გაიმეორა მოწოდება საქართველოს დახმარების თაობაზე, რომელზეც რეაგირება მოახდინეს დონორმა ქვეყნებმა. მუშავდება დახმარების ახალი პროგრამები. გაეროს მისიას გადაწყვეტილი აქვს სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო გზებზე მდგომარეობის გამოსწორებისთვის განახორციელოს განსაზღვრული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ტვირთის უსაფრთხოდ და უდანაკარგოდ გადატანას, კერძოდ, თავისი სახსრებით შეიძინოს ათი დიზელის ლოკომოტივი, რომლებიც ელექტროენერგიის უქონლობის პირობებში გააადვილებს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის განკუთვნილი ტვირთის შეუფერხებლად გადაზიდვას.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ გაეროს ბავშვთა ფონდმა შეიმუშავა გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა საკვების, პედიატრიული მედიკამენტების შემოტანას, დახმარებას ბავშვთა საავადმყოფოებისათვის და იმუნიზაციის ჩატარებას. შეიქმნა ცალკე პროგრამა საქართველოში არსებული სამედიცინო სისტემის მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის მოდელზე გადაყვანის თაობაზე.

შეხვედრის ბოლოს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა გაეროს მისიას და მის ხელმძღვანელს გაწეული საქმიანობისთვის, მიმართა თხოვნით, რათა მომავალში გამორიცხონ ტვირთის მიტაცების ან დაკარგვის ფაქტები, ამ საქმიანობიდან გამოითიშონ კერძო ფირმები და ამგვარ საქმიანობაში მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებს დაეყრდნონ. საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალებისთვის დიზელის ლოკომოტივების შეძენა კი, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ — პრობლემებს მოუხსნის არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანსაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სახელზე გაიგზავნა წერილი თხოვნით, რათა დაჩქარდეს გაეროს მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის
# კ ა ნ ო ნ ი
### საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები. 1961 წ., № 1, მუხ. 11) 117-5 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8) საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო — დამალული ან შემცირებული შემოსავლების გამოვლენის საქმეებზე".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 17 თებერვალი.

---

## საქართველოს პარლამენტის
# დადგენილება
### საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 15 თებერვალი.

---

## საქართველოს პარლამენტის
# დადგენილება
### „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამარტივებული პროცედურით მიღების თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 17 თებერვალი.

---

## საუბარი დიპლომატებთან

**18 თებერვალს** საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის პირადმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ მიიღო რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი მისივე თხოვნით.

საუბარი შეეხო რუსეთისა და საქართველოს ურთიერთსაინტერესო საკითხებს. განსაკუთრებით გაესვა ხაზი აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების პრობლემის აუცილებელ გადაწყვეტას.

იმავე დღეს ბატონმა სანდრო კავსაძემ მიიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პირველი მდივანი პოლიტიკურ საკითხებში ქალბატონი ქენდი გრინი მისივე თხოვნით.

შეხვედრაზე განიხილეს გალის რაიონში შექმნილი ვითარება, აგრეთვე ამერიკის კონგრესისათვის წარდგენილი მოხსენება, რომელიც ეხება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვას.

ბატონმა სანდრო კავსაძემ მიიღო სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ლევონ ხაჩატრიანი მისივე თხოვნით.

საუბარი შეეხო საქართველოში ამ დღეებში გამართულ სომხეთის პრეზიდენტის ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანის ვიზიტს.

---

## საქართველოს დასახმარებლად

**როგორც** საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტში აცნობეს, ევროგაერთიანებამ საქართველოს ტექსტილის ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მიანიჭა.

ევროპის სხვადასხვა სტრუქტურები, აგრეთვე ბანკები, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესით, ცდილობენ დაეხმარონ მას ეკონომიკის შექმნაში. მაგალითად, გერმანიამ 30 მილიონი მარკა გამოყო სოფლის მეურნეობის აღმავლობისთვის, კერძოდ, კერძო სექტორის, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გრძელვადიან კრედიტებს გამოყოფს ფოთის საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქციისათვის.

მნიშვნელოვანი კრედიტებია მოსალოდნელი ჩინეთიდან, აგრეთვე ფინანსური სახსრები თურქეთიდან.

---

# აფხაზეთი — ჩვენი ტკივილი!

## ბოლო მოეღოს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს,**
**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ბატონ ვიქტორ ჩერნომირდინს**
**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ანდრია კოზირევს**
**რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს**

დიდად პატივცემულო ბატონებო!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, აფხაზეთის ტრაგედია. მრავალი მოლაპარაკების (სოჭიდან ჟენევამდე) მიუხედავად, რომლებიც ვერაგულად დაარღვია გუდაუთის მხარემ, დღესაც გრძელდება სეპარატისტთა და მათ მიერ დაქირავებული, ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციისა და კაზაკობის წარმომადგენლებისგან შემდგარი ბანდიტური ფორმირებების ველური სისხლისმღვრელი ორგიები.

პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით აფხაზეთის გალის რაიონში მხეცურად ჟლეტენ ქართულ მოსახლეობას. გადაბუგულია ათობით სოფელი და ათასობით სახლი. დამსჯელთაგან თავის დაღწევის მიზნით მთებს შეაფარა თავი სამი ათასზე მეტმა კაცმა, მათგან რამდენიმე ასეული გაიყინა, დაიღუპა ყინვისა და შიმშილის შედეგად. მასობრივ ხოცვა-ჟლეტას განსაკუთრებული სისასტიკით სჩადიან, ამას თან სდევს გაუპატიურება, აკუწვა, დაწვა და ა. შ.

მთელ საქართველოში ვითარება იმდენად გამწვავებულია, რომ პროცესები შეიძლება უმართავი და შეუქცევადი გახდეს. ახლა უკვე სასოწარკვეთილ 800 ათას ლტოლვილს ნებისმიერ წუთს შეუძლია მიმართოს ყველაზე უკიდურეს არასასურველ მოქმედებას, თვით მასობრივადაც კი მიაშუროს თავის სამშობლოს — აფხაზეთს იარაღით ხელში, ანდა უამისოდაც.

ამიტომ, თუ არ განხორციელდება სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებანი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუძემდებელი დოკუმენტების საფუძველზე, ტრაგედია გარდაუვალია და ამას შეიძლება მოჰყვეს ახალი, უფრო მასშტაბური და სისხლიანი კავკასიის ომი, რაც შეიძლება რუსეთსაც მოედოს.

ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა მოუღოს ბოლო უზომოდ გათავხედებულ სეპარატისტთა და რუსეთის დესტრუქციული რეაქციული ძალების წარმომადგენელ მათ დამქაშთა სისხლიან ორგიებს.

შორი და ახლო საზღვარგარეთის და განსაკუთრებით რუსეთის პარლამენტებმა და ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფმა, მოახდინა რა ხელისუფლების უზურპაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ომისათვის ხანგრძლივი და გულდასმით მომზადების შემდეგ შეძლო კიდეც მისი პროვოკაციულად გამოწვევა. არძინბას ხროვის ფაშისტური დიქტატურა როდია აფხაზი ხალხი და, მით უმეტეს, არც მთელი მრავალეროვანი აფხაზეთი. სეპარატისტთა მოქმედება მსოფლიო საზოგადოებრიობამ ერთმნიშვნელოვნად შეაფასა გენოციდად, ეთნიკურ წმენდად და დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ.

და მთელი ეს ბარბაროსობა ხდება დღეს, მსოფლიო ცივილიზაციის აყვავების, მეტწილ სახელმწიფოებში ჰუმანიზმის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა იდეის მნიშვნელობის ამაღლების პერიოდში.

დიდად პატივცემულო ბატონებო!

საქართველოში ბატონ ბორის ელცინის ხელმძღვანელობით რუსეთის ესოდენ საპატიო დელეგაციის ჩამოსვლამ, ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერამ დიდი იმედები ჩაუნერგა გულში საქართველოს მთელ მრავალეროვან მოსახლეობას, განსაკუთრებით აფხაზეთის მშობლიური კერებიდან გამოყრილ ლტოლვილებს, რომლებიც მეტისმეტ გაჭირვებას განიცდიან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო ბატონებო, თხოვნით, ბოლოს და ბოლოს, მიიღოთ გადამჭრელი და კარდინალური ზომები აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტის სასწრაფოდ მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ამით ბოლო მოუღოთ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას, აგრეთვე საკუთრივ აფხაზი ერის არსებობის საფრთხეს, რომლის გენოფონდი გადაშენების ზღვარზეა.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.**

ქ. თბილისი.

---

# ერთხელ და სამუდამოდ გავერთიანდეთ!

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

**ბოლო** ხანს აფხაზეთში ისედაც უკიდურესად დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გართულდა, რაც გალის რაიონში დატრიალებული მორიგი ფაშისტური აქციით გამოიხატა.

ოფიციალური მონაცემებით, ორი თებერვლიდან რეგიონში დახოცილია 500-მდე მშვიდობიანი მოქალაქე. რაიონის მაღალი მთისა და სანაპირო ზოლის სოფლებში გადამწვარია ასობით საცხოვრებელი სახლი. გადარჩენილი და დევნილი ათასობით კერამოშლილი ადამიანი ურთულეს კლიმატურ პირობებში გამოვიდა ან გამოდის წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში. გზაში სიცივითა და შიმშილით უკვე დაიღუპა ათობით ადამიანი. კიდურებმოყინული არაერთი მოქალაქე მოათავსეს სამედიცინო დაწესებულებებში.

ამგვარი ბარბაროსული აქცია ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და ტერორიზმის დამკვიდრების პრაქტიკის გაგრძელებაა, რაც კვლავ იმას მოწმობს, რომ აფხაზური მხარე დაინტერესებულია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ჩაშლით, უგულებელყოფს მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის აზრს, გაეროს გადაწყვეტილებებს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ უბედურების ზონაში მიავლინა სხვადასხვა სამაშველო სამსახურები. დევნილ მოსახლეობას გაუწიეს პირველი სამედიცინო დახმარება, უზრუნველყოფენ თბილი ტანსაცმლით, სურსათით, მაგრამ აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში ისედაც დამძიმებული სიტუაციის გამო ძალზე ჭირს იძულებით გადაადგილებულთა ახალი ტალღის მიღება-დაბინავება. ვითარებიდან გამომდინარე, დროულად გვეჩვენება დასავლეთ საქართველოს რეგიონში სახელმწიფო მინისტრის გივი ლომინაძის გადაწყვეტილება ხობის, სენაკისა და აბაშის რაიონებში ხიზანთა განთავსების თაობაზე.

აფხაზეთის რეგიონში ბოლო დღეებში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ საჭიროა უფრო ენერგიულად და ოპერატიულად განხორციელდეს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებანი, რაც საფუძვლად დაედება მოსალოდნელი დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილებას. ერთადერთ გამოსავალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციით აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანასა და მკაცრი საერთაშორისო მეთვალყურეობის დაწესებაში ვხედავთ.

ამასთან, გამოვთქვამთ შეშფოთებას, რომ თუ დროულად არ მოგვარდა ლტოლვილთა უმძიმესი ხვედრი, მათი სოციალური მდგომარეობა შეიძლება მივიდეს იმ კრიტიკულ ზღვართან, რომლის შემდეგაც რესპუბლიკაში შეიქმნება ისეთი მძიმე პრობლემები, რომლებიც ძნელი სამართავი გახდება.

საქართველოს დღეს რეალურად არა აქვს საშუალება ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელოს დევნილთა დახმარების გრძელვადიანი პროგრამა. ტრაგიკულ ბედში ჩავარდნილი ხიზნები ვერ დაელოდებიან ფართომასშტაბიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და ჩვენ სტიქიური, სახალხო დაუმორჩილებლობის გაძლიერების მოწმენი გავხდებით. გამწარებული მოსახლეობა იძულებული გახდება მიმართოს არასანქცირებულ ქმედებებს. ჩვენ იძულებული ვიქნებით, სამხედრო ძალის გამოყენებით, იარაღით ხელში დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთიდან განვდევნოთ დაქირავებული მკვლელები, ტერორისტები, მძარცველები, ფაშისტები.

ჩვენ არ გვამოძრავებს შურისძიების გრძნობა, დარწმუნებული ვართ, რომ დღეს აფხაზეთი — ეთნოკონფლიქტის აქტიური კერა — ხვალ ჭეშმარიტი აფხაზეთისა და ქართველის მშვიდობიანი სამკვიდრო იქნება.

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო კვლავ შენიშნავს, რომ საკუთრივ აფხაზეთში სულ უფრო ღრმავდება პოლიტიკური კრიზისი. იქ მიმდინარე პროცესები მეტყველებენ, რომ ვ. არძინბას ხელისუფლებას მომავალი არა აქვს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მიმართავს გალის რაიონის მოსახლეობას — არ აჰყვნენ სეპარატისტთა მორიგ პროვოკაციას, ხელი აიღონ თვითნებურ სტიქიურ მოქმედებებზე, გაერთიანდნენ და გამთლიანდნენ, დაემორჩილონ ერთიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მხარში ამოუდგნენ რესპუბლიკის ხელისუფლებას.

მივმართავთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებს, სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივ კომერციულ სტრუქტურებს, საერთაშორისო ჰუმანური დახმარების ორგანიზაციებს, კიდევ ერთხელ გამოგვიწოდონ დახმარების ხელი, რათა მცირედით მაინც შევუმსუბუქოთ ხვედრი გაჭირვებაში ჩავარდნილ დევნილებს;

მივმართავთ აფხაზეთიდან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პირადად ჩავიდნენ უბედურების ზონაში, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანთა დასახმარებლად.

ვთხოვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, პრესის ფურცლებზე ობიექტურად გააშუქონ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენები, რადგან ყოველ არაობიექტურ ფრაზას სიტუაციის ხელახალი დაძაბვა შეიძლება მოჰყვეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მადლობას მოახსენებს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის, „სანთლის" მაშველთა სამსახურის ჯგუფის წევრებს, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების გამგეობათა მესვეურთ, იმ მოქალაქეებს, რომლებმაც დახმარების ხელი გაუწოდეს დევნილ მოსახლეობას.

გალის რაიონში უკანასკნელ პერიოდში დატრიალებულმა ტრაგედიამ ბევრი გამოაფხიზლა, ბევრიც დააფიქრა. ახლა საჭიროა საერთო მიზნის მისაღწევად ერთხელ და სამუდამოდ გავერთიანდეთ.

---

# მყარდება ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები

18 თებერვალს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ატლანტა-თბილისის პარტნიორული თანამშრომლობის პროგრამა „ჯორჯია თუ ჯორჯიას" ხელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის პროფესორი კენტ უოკერი. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

მხარეებს შემუშავებული აქვთ პროგრამა, გამოყოფილია ძირითადი სფეროები და მიმართულებები. ესენია: რესპუბლიკაში ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომზადება, სამედიცინო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობა, რესპუბლიკის მეორე საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, აღჭურვა და კადრების მომზადება. ცალკე საკითხად განიხილეს სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკის შექმნა, რასაც ამერიკული მხარე დააფინანსებს. დაისახა ერთობლივი სამედიცინო ჟურნალის გამოცემის გეგმები. საფუძველი ჩაეყარა ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის შემსწავლელი კურსების შექმნას.

შეხვედრის ბოლოს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამერიკა-საქართველოს ერთობლივი მისია საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობას ეწევა, „იზოლაციის პირობებში ყველაზე უფრო მედიცინას, მეცნიერებასა და კულტურას გაუჭირდა, ამიტომ თქვენი მხარდაჭერა, დასახული სამომავლო გეგმები, განსაკუთრებით კი სამეცნიერო ულტრათანამედროვე ბიბლიოთეკის შექმნა, ემორის უნივერსიტეტში კადრების მომზადება, არა მარტო თანამედროვეთა, არამედ მომავალი თაობებისათვის გათვალისწინებული საქმიანობაა", — დასძინა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

• • •

18 თებერვალსვე სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა „ჩუქუროვა-ჰოლდინგის" პრეზიდენტი კარამეჰმედი.

მრავალპროფილიანი „ჩუქუროვა-ჰოლდინგის" მოღვაწეობის სფერო — მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობა. ფირმა ვაჭრობს მსოფლიოს მრავალ მსხვილ ქვეყანასთან, აქვს ხუთი ბანკი.

ფირმას მჭიდრო კონტაქტები აქვს და 1988 წლიდან თანამშრომლობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან და რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან.

ფირმა „ჩუქუროვა-ჰოლდინგმა" სურვილი გამოთქვა გააღრმავოს ურთიერთობები საქართველოს რიგ საწარმოებთან, ითანამშრომლოს სხვადასხვა მიმართულებით, ქართულ მხარესთან ერთობლივად დასახოს სამომავლო გეგმები.

---

### საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

# ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი ეკონომიკის აღმავლობისათვის!

**საქართველო**, ისევე როგორც ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება, გადადის თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორულ დაგეგმვაზე. 18 თებერვალს გამართულ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მოიწონეს ასეთი დაგეგმვის საფუძველთა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. მისი არსი ის გახლავთ, რომ იგი ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების დამახასიათებელი მაჩვენებლების — ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს მათი მიღწევის მიზნით სახელმწიფო ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსს.

გადაწყდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს მომზადებული ეს კანონპროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს. რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და მინისტრთა კაბინეტის მიერ მოწონებული პროექტი კანონისა „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების მოპოვების, წარმოებისა და გამოყენების სახელმწიფო რეგულირებისა და ამ ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესახებ".

სხდომაზე განიხილეს საზღვარგარეთის კრედიტების მოზიდვისა და გამოყენების სამუშაოთა მოგვარების საკითხი. დადგინდა, რომ კრედიტებს უცხოური ვალუტით, რომელიც რესპუბლიკის საგარეო ვალს შეადგენს, განეკუთვნება ის კრედიტები, რომლებიც მიიღო მთავრობამ მის მიერ დადებული შეთანხმებებით ან მისი დავალებითა და გარანტიებით. როგორც მიღებულ დადგენილებაშია ნათქვამი, ეს კრედიტები იფარება ცენტრალიზებული სავალუტო საშუალებებით, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი საშუალებებით ან სახელმწიფო კრედიტით. რაც შეეხება სახელმწიფო საჭიროებისთვის უცხოური ვალუტით კრედიტების აღებისა და გამოყენების საკითხს, ამას წყვეტს მინისტრთა კაბინეტი. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღებს სპეციალური სამთავრობო კომისია.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებასაც რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ორგანიზაციის, ფირმისა და კერძო პირების მიერ ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების აკრძალვის შესახებ, თუ არ ექნებათ ამის თაობაზე მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს იმით აიხსნება, რომ ახლა, როცა რესპუბლიკაში ნავთობის მოპოვება სულ 120 ათას ტონას შეადგენს, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის ამ სტრატეგიული ნედლეულის მონოპოლიაზე, როგორც ნავთობისა და გაზის დაზვერვა, ასევე მათი მოპოვება და გადამუშავებაც ევალება მხოლოდ სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანიზაციას — „საქნავთობის" დეპარტამენტს.

სხდომაზე პრინციპული და მომთხოვნი სჯა-ბაასი გაიმართა იმ მძიმე მდგომარეობის დაძლევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოებასა და გადამუშავებაში და 1994 წლის სეზონისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მომზადებაში. წლეულს, ისევე როგორც გაისად, დაგეგმილია 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით, მიღებულია დადგენილება, რომელშიც კონკრეტული დავალებები ეძლევა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მეჩაიეობის, იმ დარგის აღმავლობა, რომელშიც შექმნილი ვითარება არსებით გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ნატურალური სორტული ჩაის 1994 წლის კვოტები. 75 ათასი ტონა ამ პროდუქტიდან, რომელზეც კვოტებია დაწესებული, 48,8 ათასი ტონა ანუ 65 პროცენტი, გადაწყვეტილია სახელმწიფო საჭიროებებისთვის გამოიყენონ; აქედან 39,8 ათასი ტონა ნატურალური ჩაი ნავარაუდევია გამოიყოს სამთავრობათაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებათა შესასრულებლად, რომლებიც საქართველომ დადო რუსეთთან, თურქმენისტანთან, ყაზახსტანთან, უზბეკისტანთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ყირგიზსტანთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან. განსაზღვრულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სხვა ძირითად სახეობათა პროდუქციის — ღვინის, კონიაკისა და შამპანურის, არყისა და ლიქიორ-არყის ნაწარმის, მინერალური წყლების, პაპიროსისა და სიგარეტის, ციტრუსებისა და ხილ-ბოსტნეულის კონსერვების დღევანდელი კვოტები.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის განვითარების პერსპექტივებს. განიხილა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

---

## ბოლო სვეტი

### ირანული პრესა ირანში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის შესახებ

17 თებერვალს დამთავრდა საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ირანში. დელეგაციას მეთაურობდა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

საქართველომ ირანს სთხოვა რესპუბლიკას მიაწოდოს მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი. როგორც ირანული გაზეთები წერენ, ეს საკითხი დაისვა სამშაბათს და ოთხშაბათს გამართული ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძისა და ირანის საგარეო საქმეთა და ნავთობის მინისტრების მოლაპარაკების, აგრეთვე ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანისთან შეხვედრის დროს.

გაზეთი „ჯომჰურიე ესლამი" წერს, რომ ჰაშემი-რაფსანჯანიმ და ირანის ნავთობის მინისტრმა გოლამ რეზა აღა-ზადემ განაცხადეს: „გაზის მიწოდების შესაძლებლობა შეიქმნება მას შემდეგ, რაც ამ საკითხს ექსპერტები შეისწავლიან". საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ირანის მხარეს შესთავაზა აგრეთვე გამოიყენონ მისი სახელმწიფო ტერიტორია ევროპაში ირანული ბუნებრივი გაზის ტრანზიტისთვის.

ჩიკვაიძემ, იუწყება ირნას სააგენტო, ირანის პრეზიდენტს გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წერილი. [illegible], რომ მიმდინარე წელს ჰაშემი-რაფსანჯანი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა თბილისს.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოლაპარაკების დროს დაწვრილებით განიხილეს ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება. ალექსანდრე ჩიკვაიძემ და ალი აქბარ ველაიათიმ მაღალი შეფასება მისცეს ირან-საქართველოს ურთიერთობების ახლანდელ დონეს და ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა დამყარდეს ამიერკავკასიაში „[illegible] მშვიდობა" ყველა მხარის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

### ბლოკადის მიზეზები უცნობია

აი, უკვე მესამე კვირაა, რაც აზერბაიჯანის რკინიგზა გაურკვეველი მიზეზების გამო საქართველოში არ ატარებს სათბობით დატვირთულ რკინიგზის შემადგენლობებს. ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა „საქნავთობპროდუქტების" სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარის მოადგილემ [illegible]. სამწუხაროდ, ვერავინ კონკრეტული ვერ თქვა ამის შესახებ საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა [illegible]. მათ არც ის იციან, რამდენ ხანს გასტანს ამნაირი ბლოკადა. ცხადია, მხოლოდ ერთი რამ: თუ სათბობი არ იქნება რესპუბლიკაში, ენერგოკრიზისი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს.

---

### ამ დღეებში

გაემგზავრებიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

[illegible]
მოგზაურობა
კოლხეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბჯარი
საქართველოს რესპუბლიკა
№2(37)
საქართველოს თავდაცვის ფონდი
GEORGIA DEFENCE FUND

**ედუარდ შევარდნაძე:**

**...მე ყველაფერს ვიღონებ, რათა ჯარში სამსახური ჩაითვალოს უმაღლეს მოვალეობად, საპატიო მისიად და, გარკვეული აზრით პრივილეგიადაც ჩვენი ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო ნაწილისათვის.**

(14 თებერვლის რადიოინტერვიუდან).

## გვარდია—დღეს, ხვალ...

# „ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების!.."

**საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტმა დააჩქარა ჩემი ვიზიტი ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსთან, გენერალ-მაიორ ჯემალ ჭუმბურიძესთან, რომელსაც (როგორც ამასწინანდელი პუბლიკაციით ვიუწყებოდი) „საგენერლო" კითხვები „ხოჯამო არხეით" გადავეცი.**

**— გადაწყვეტილებათა ხშირი მონაცვლეობა დღეს აღარავის აკვირვებს, მაგრამ გვარდიის ხელახლა შექმნამ, თავდაცვის სამინისტროდან მისმა გამოცალკევებამ მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რამ განაპირობა გვარდიის რეანიმაცია და რა ფუნქციას ასრულებს მას ომი და მშვიდობა?**

— საბჭოთა იმპერიის აგონიამ, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობამ განაპირობა 1991 წლის დამდეგს ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება. შექმნიდან დღემდე მას ბევრჯერ შეეცვალა სახელი, მაგრამ ფუნქცია უცვლელი დარჩა, პოლიტიკური სიტუაციების სწრაფმა ცვალებადობამ, საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლამ და სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა დღის წესრიგში დააყენა ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე თვისებრივად ახალი სამხედრო სტრუქტურის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ეროვნული გვარდიის მიზანია ერის ინტერესების, დემოკრატიის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

**— რა პრინციპით მოხდება გვარდიის შევსება?**

— როგორც ხდებოდა, საერთო გაწვევიდან. ჩვენ მშვიდობიანობის დროს 2500-კაციანი ჯარი გვჭირდება, ომის დროს კი 5 ათასიანი. ეს კონტინგენტი ახალწვეულებიდან უნდა შეივსოს. სამწუხაროდ, ვისაც ხელს არ აძლევს ეროვნული გვარდიის არსებობა, აქაც დაბრკოლებას გვიქმნის.

**— როგორ აპირებს გვარდია შელახული ავტორიტეტის აღდგენას?**

— არ ვიქნები გულწრფელი, თუ ყველა გვარდიელს „მამა აბრამის ბატკნად" წარმოგიდგენთ, მაგრამ ნაღდი გვარდიელის მიერ ჩადენილი დანაშაული „ფორმიანთა" მიერ ჩადენილ დანაშაულზე პროცენტულად ნაკლებია. არ დავფარავ, გვარდიელის ფორმით დანაშაულს სჩადიოდნენ ისინი, ვინც თენგიზ კიტოვანის სახელის ლაფში ამოსვრით იყვნენ დაინტერესებული. დღეს უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად ორგანიზებულმა იარაღის ჩამორთმევის ფართომასშტაბიანმა ოპერაციებმა ხელი შეუწყვეს დანაშაულთა შემცირებას.

**— ჯემალ ჭუმბურიძის სახელს წამიერი ჩრდილი მიადგა. ვის დასჭირდა დეზინფორმაციის გავრცელება, რა მოხდა კოდორთან?**

— სამწუხაროა, რომ ქართველებს ცეცხლის ხაზზეც კი არ ავიწყდებათ ერთმანეთის მტრობა. არ შემიძლია გულისტკივილით არ გავიხსენო ბოლო საბრძოლო ეპიზოდი მდინარე კოდორთან. სოფელ ახალდაბაში აფხაზები იყვნენ გამაგრებული. ორი დღე თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი 400 მეომარი. იყო დაპირება, რომ გარღვევისათვის ოჩამჩირეში განლაგებული, თავდაცვის სამინისტროს 4500-კაციანი ბრიგადა მოგვეშველებოდა, მაგრამ ერთი კაციც არ გამოჩენილა. რაციით დამიკავშირდა გია ყარყარაშვილი, რომელიც სკურჩის ნახევარკუნძულზე ფეხით გადმოსულიყო და ჩვენამდე მოსასვლელად ტრანსპორტს ითხოვდა. მებრძოლები საბრძოლო ქვეითი მანქანით გავგზავნე და მინისტრი ჩვენთან შტაბში მოიყვანეს. ახალდაბაზე შეტევა 15 წუთის დაწყებული იყო, გ. ყარყარაშვილმა ბრძანა შეტევა შეგვეჩერებინა, პოზიციებიდან მოგვეხსნა 300 კაცი, ტექნიკა, რომ ეს ხალხი სოხუმისაკენ გადაეყვანა. ბრძანება შევასრულეთ, მაგრამ ტექნიკა ვერ გადაიტანეს და მტერს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, ნაწილი ააფეთქეს, ნაწილი კი ექსპრეზიდენტის მომხრეების ხელში მოხვდა (?). ახალდაბასთან 70 კაცი დავრჩით. სოხუმში უკვე პანიკა იყო. გენერლები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, მათი სიმხდალის, დოყლაპიობისა თუ სხვა უფრო ღრმა მიზეზთა გამო დიდძალი იარაღი ხელში ჩაუვარდა ქობალიას. ჩვენ კი — გვარდიის შენაერთებმა მესტია-უშგულის შორი გზა ავირჩიეთ და მძიმე საბრძოლო ტექნიკა თუ იარაღი უდანაკარგოდ ქუთაისში ჩავიტანეთ (უბედური შემთხვევის გამო მხოლოდ ერთი ტანკი დავკარგეთ). ბიჭებს ბრაზი ახრჩობდათ, ახალდაბასთან რომ მოგვეშველებოდნენ, თუნდაც უკან დახეულ მეომრებს ჩვენთან ერთად ებრძოლათ და მოგერიების ზღუდე გაგვემაგრებინა, გალსა და ოჩამჩირეს მაინც არ დავკარგავდით.

**— რა გვასწავლა ომმა?**

— ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში რომ ზომიერებაა საჭირო. ტელევიზიით ბაქი-ბუქი ისმოდა, ამდენი ტანკი გვაქვს, ამდენი ცოცხალი ძალა გვყავს... ჩვენი ნაწილები ნაბიჯს გადადგამდნენ თუ არა, საინფორმაციო საშუალებები მაშინვე ქვეყანას აუწყებდნენ. ჯერ კიდევ კოდორთან ვიდექით, მეომრებს გამარჯვების რწმენა და იმედი ასულდგმულებდათ, რომ ტელევიზიით აცხადებდნენ — აფხაზეთი დავკარგეთო! გარეშე ფაქტორებთან ერთად ომისადმი გულგრილმა მიდგომამ, არაკომპეტენტურობამ, უდისციპლინობამ განაპირობა ჩვენი მარცხი.

**— რა იმედებს ამყარებთ საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტზე?**

— ჩემი აზრით, დიდი მეზობელი ქვეყნის ლიდერის სტუმრობამ სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა ჩვენს ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობასა და მეგობრობას. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის, პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად.

**— საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ ზომებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა დროებით ყოფნის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისათვის. აგრეთვე დადებენ შეთანხმებებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნაში, აღჭურვაში, იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნაში ხელშეწყობის შესახებ. რა იგულისხმება?**

— ამ გადაწყვეტილების მიღება მარტო საქართველოს ან რუსეთის ხელისუფლების სურვილს არ ეფუძნება, დასამალი არ არის, რომ მსოფლიოს რუკაზე გავლენის სფეროები დიდ სახელმწიფოებს შორის განაწილებულია და სადაც საჭიროდ მიიჩნევენ, ალბათ, იქ შექმნიან უსაფრთხოების ბაზას. ეს კი ჩვენი სუვერენიტეტის შელახვად არ უნდა მივიჩნიოთ. რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა, რომელიც დროებითია (ქართული ეროვნული ჯარის შექმნამდე), ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ. ჯარი რთული მექანიზმია, რომლის შექმნას საკმაოდ დიდი გამოცდილება და სახსრები სჭირდება. საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით დავით აღმაშენებლის „მონა სპასა" და ერეკლე II-ის „მორიგე ლაშქარს", რეგულარული არმია არ ჰყოლია. ქართველი ყოველთვის მოლაშქრე იყო და არა გაწვრთნილი ჯარისკაცი. რა არის ამაში ცუდი თუ ვინმე, ვისაც სამხედრო საქმეში მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს, დახმარებისთვის ხელს გამოგვიწვდის? ჩვენი სახელმწიფოს მეთაური ისეთი რანგის დიპლომატი და პოლიტიკოსია, რომ არ შეცდება და გამოწვდილ „ხელს ხელიდან არ გაუშვებს".

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისა და თავდაცვითი მშენებლობის სფეროში თანამოქმედების ფორმები და წესები, ალბათ, ცალკე შეთანხმებით მოგვარდება და მაშინ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება რუსეთთან ურთიერთობის სიკეთე.

**ღმერთმა ინებოს, მაგრამ თუ ჩვენ გონს არ მოვალთ, ხელს არ გამოვიღებთ „ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების!"...**

**ლეილა კოშკაძე.**

# გმირთა აღიარება

„მხედრიონის" შესახებ ორი აზრი არსებობს. ბევრი რამ ითქვა, ბევრი დაიწერა, არც სამადლობელი დაკლებია, არც სამდურავი, მაგრამ მამულის საკურთხეველზე წმინდა სანთლებივით ჩამოღვენთილ მხედრიონელთა სახელებს, ჩვენს „ლომის ბიჭებს" დღეს ყველა ერთნაირი კრძალვით ახსენებს.

ამის დასტური იყო ამასწინათ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საღამო.

... შაიშმელაშვილი, პაპუნაშვილი, გაბუნია, ამირეჯიბი, აბაშვილი, ზერია, დადიანი, ზოსიტაშვილი, სვანაძე, ვეფხვაძე, ონიანი, ხურციაშვილი, ჩხეტიანი, რამიშვილი, იოსელიანი, მიშველაძე...

მათი განვლილი საბრძოლო გზა ქვეყნისა და ერის წინაშე მამულიშვილური ვალის მოხდის მისაბაძი მაგალითია.

გმირთა გალერეას ამშვენებს მათი სახელები, მათ შვილებს კი მშობლების უკვდავების, ვაჟკაცობის სიმბოლოდ დარჩებათ უმაღლესი ჯილდო — ვახტანგ გორგასლის ორდენი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სწორედ დაღუპულთა შვილებს და ოჯახის სხვა წევრებს გადასცა.

ვახტანგ გორგასლის ორდენი გადაეცა აგრეთვე მხედრიონელთა დამრიგებელს, როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა, ჩვენი დროის გმირსა და რაინდს, ბატონ ჯაბა იოსელიანს.

... არა, ეს არ იყო ზეიმი, ეს იყო უდროოდ დაღუპულ გმირთა აღიარება... თუ სამშობლომ მოითხოვა, ამ ბიჭების ნაკვალევზე კვლავ ჩადგებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები, რადგან მამულის დაცვაზე უწმინდესი საქმე არ არსებობს! ეს გამოხატა თავის გამოსვლაში დაღუპულ ირაკლი ამირეჯიბის მამამ, ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარემ ჭაბუა ამირეჯიბმა.

საღამოს ცრემლითა და ქართული სიმღერებით (მღეროდა ანსამბლი „თბილისი"). დარბაზიდან გამოსულთ უდიდესი სევდის მიუხედავად, იმედი მოგვყვებოდა, იმედი იმისა, რომ „კიდევაც დაიზრდებიან"...

**სპარტაკ ქოგული**

## ვაი, სირცხვილო!

# ქურდობენ ისინი, ვისაც უნდა დაეცვა

**ახალციხის** რეგიონულმა სამხედრო პროკურატურამ ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურისაგან შეტყობინება მიიღო: თავდაცვის სამინისტროს საცავში შეაღწია დამნაშავემ და გაიტაცა გაურკვეველი რაოდენობის ტყვია-წამალი.

შემთხვევის ადგილზე გავიდნენ რეგიონული სამხედრო პროკურორი გ. გოგლიძე და მოადგილე ს. ედიგაროვი. მათ გულდასმით დაათვალიერეს იქაურობა და საცავის საყარაულოსთან ახლოს აღმოაჩინეს 8 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, ორ გაუხსნელ თუთიის ყუთში მოთავსებული იყო 1.400 ცალი „აკ"-ის სისტემის ავტომატის ვაზნა, ასეთივე ერთი გასროლილი ვაზნა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

საკითხი საკმაოდ სერიოზული იყო. ამიტომ რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის, იუსტიციის გენერალ-მაიორის ა. შუშანაშვილის დადგენილებით შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი მთავარი სამხედრო პროკურორის პირველი მოადგილის გ. ძაგანიას ხელმძღვანელობით. ჯგუფში შევიდნენ რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი რ. მარტყოფლიშვილი, ახალციხის რეგიონული სამხედრო პროკურორის მოადგილე ს. ედიგაროვი, გამომძიებლები გ. სახეჩიძე და ტ. ქათამაძე.

იურისტებმა გამოძიება იქეთ წარმართეს, რომ რაკი ნაწილი ტყვია-წამალი საყარაულოსთან ეყარა, ცხადია, დატაცებაში ყარაულები უნდა ერიონო. ეჭვი გამართლდა. გამოვლინდა დანაშაულის ჩამდენი 16 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც აქ ყარაულში იდგნენ და თავად უნდა დაეცვათ საბრძოლო მასალა.

გამოირკვა: დამნაშავეებმა 19 დღეში გაიტაცეს „აკ"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 38 ათასამდე საბრძოლო ვაზნა და 10 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, რომელთა საერთო ღირებულებაა 1.377 ათასი რუსული მანეთი, ანუ 41.310 ათასი კუპონი. თუმცა აქ მარტო თანხებში როდია საქმე, ვინ იცის, რამდენ ყაჩაღსა და ბანდიტს ჩაუვარდებოდა ის ხელში და რამდენ მშვიდობიან მოქალაქეს გაუმწარდებოდა სიცოცხლე.

გამოძიების პროცესში დამნაშავეებმა ნებაყოფლობით დააბრუნეს გატაცებული 36.400 ცალი საბრძოლო ვაზნა, 25 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად კი ამოღებულია 75 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა. ამრიგად, ქურდების მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი მთლიანად ანაზღაურებულია, რაც ჯგუფის მიერ გაწეული ენერგიული და საზრიანი მოქმედების შედეგია.

დამნაშავეებს წარედგინა ბრალდება, ყველა დამნაშავემ აღიარა ჩადენილი დანაშაული, მალე დამთავრდება წინასწარი გამოძიება და საქმეებს განიხილავს ახალციხის რეგიონული სამხედრო სასამართლო.

ჩვენს არეულ დროში ყველაფერი ხდება. ქურდობენ ისინი, ვისაც უშუალოდ ეკისრება სახელმწიფო ქონების დაცვა.

**საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი**

---

## დღევანდელობა

# „შენით იწყება სამშობლო შენი"...

...**მეტროს** მატარებელში ხალხი ბორგავდა... ფეხზე მდგარნი სულს ძლივს ითქვამდნენ.

— ეი, თქვენ, ორივე ხელი რომ სახელურზე მოგიკიდიათ, ცოტა მიიწიეთ...

მამაკაცი არც კი შერხეულა, თითქოს ამქვეყნიური არც ყოფილიყო... ღრმა ფიქრებს მისცემოდა...

— არც ინძრევა, ამას უყურეთ, — გაჯავრდა ქალბატონი, — ეი, თქვენ გეუბნებით, — და გვარდიელს შინელის საყელოზე მოქაჩა.

იგრძნო მამაკაცმა, მარჯვენა ჩამოუშვა და ნახევრად შემოუტრიალდა „მოწინააღმდეგეს".

ორივე გაშტერებული მიაჩერდა ერთმანეთს...

— ვაიმე, როდის ჩამოდი, შვილო? — მკითხა გაოგნებულმა ქალმა და ცრემლები მოადგა თვალებზე.

— ახლა, დედი, ახლა, — უთხრა ენადაბმულმა შვილმა და მკერდში ჩაურგო თავი. გრძნობამ იმძლავრა.

— ჩემო გამოტირებულო, ერთადერთო, სად იყავი აქამდე? ჩემო იმედო, ჩემო ვაჟკაცო? — ანგარიშმიუცემლად იძახდა ქალი, — ეგრე უნდა დედის მიტოვება? შენი თავი თუ არა, მარტოხელა დედა მაინც არ შეგებრალა? არავინ გაინტერესებდა? ხომ იცოდი, შენს გზას გამოვცქეროდი. ვინ იცის, ჩემზე ფიქრის დროც არა გქონდა, ჩემო ნაიარევო შვილო?

თავი აუწია. ნაადრევად დავაჟკაცებული მოეჩვენა, შეუხორცებელ ნაიარევზე ხელი ნაზად მოუსვა... ღრმა ჭრილობა უფრო ვაჟკაცურ იერს მატებდა.

— არა, დედი, არა... შენი სიყვარული მაძლებინებდა; შენზე კარგი მე ხომ ქვეყნად არავინა მყავს. გაჭირვების დროს ყოველთვის შენი სახე მედგა თვალწინ. რამდენჯერ მინატრია შენს კალთაში ჩამძინებოდა და საერთოდ, საერთოდ არ გამომეღვიძა... დავიღალე დედი — უკვე ტიროდა ბრგე ვაჟკაცი.

— ნუ, შვილო, ნუ. გენაცვალოს დედა, — გულში იხუტებდა და აღარ იცოდა რა ეღონა, რითი დაეწყნარებინა შვილი. — ყველაფერი წარსულია, დაივიწყე, შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, — ჩემო ლამაზო ბიჭო, ნუ გეშინია, ახლა ხომ ერთადა ვართ, შენზე დარდმა გამანახევრა... დედა მოგიკვდეს, შვილო, როგორ ცახცახებ, ნერვებიდან როგორ დაუცლიხარ აფხაზეთის ომს..,

იცოდა, ის „დედიკოს ბიჭი" აღარ ედგა წინ; ხვდებოდა, მტერზე გამარჯვება უფრო სწყუროდა მის შვილს, ვიდრე ნებიერი ცხოვრება. ეშინოდა კვლავ არ დაჰკარგოდა, კვლავ არ გაქცეოდა... უფრო და უფრო ღრმად იხუტებდა.

— შენ გენაცვალოს შენი დედიკო, ვინ იცის როგორ გიჭირდა — უფრო ღრმად ჩაიკრა დედამ შვილი მკერდში, თითქოს ტანჯული დღეების გამოძალვა უნდაო... თითქოს ძველებურად კვლავ კალთის გადაფარება უნდაო. მაგრამ.., იაზრა... უკვე მარტო მისი შვილი აღარ იყო, ის მთელი საქართველოს შვილი იყო...

ხალხი ორივეს გაოცებული შეჰყურებდა. უნდოდათ დაემშვიდებინათ დედა-შვილი, მაგრამ რას შეეძლო მათი დაწყნარება? როგორ ფიქრობთ? ისღა დარჩენოდათ უხეირო მაყურებლის როლში ყოფილიყვნენ და შორიდან ეცქირათ. ზოგს დავიწყნოდა სადაც მიდიოდა, ზოგს ჩასვლაც არ უნდოდა ვაგონიდან; სურდათ გაეგოთ, ბოლო რა იქნებოდა, მაგრამ დედა-შვილობას, დასასრული რომ არა აქვს?...

**მარეხ ნასყიდაშვილი.**

## კოლეგა ომში

# მთავარია, მართალი იყო!..

**ძნელია აფხაზეთში ნაომართა შორის ყველაზე ასაკოვანის დასახელება, ჟურნალისტთა შორის კი ერთ-ერთი ასეთი საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტი რევაზ ოსეფაიშვილი იყო. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ომში მისი ხნის კაცს პაპას ან ბაბუას ეძახიან. მას კი ყოველთვის სახელით მიმართავდნენ. ეს ერთი შტრიხიც კარგად გვიხატავს მის პიროვნებას. მუდამ ჭაბუკივით შემართული ხშირ ახალგაზრდა ჟურნალისტს „ჯობნის". ბოლო წლებში საქართველოს, სადაც კი გასჭირვებია, რეზო ოსეფაიშვილის რეპორტაჟებს არ დაუყოვნებია, ცხელი წერტილები უიმისოდ არ განელებულა.**

ცნობილია, რომ დოკუმენტურობა მეტ აზრს იძენს ომში. იქ გადაღებული თითოეული კადრი მძაფრი და უნიკალურია. თუ ჩვეულებრივ პირობებში მომზადებული ხარ, ომში წინასწარ არ იცი რა და როდის გადაიღო. ამიტომაც ის, რაც არ ეპატიება ტელეჟურნალისტს მშვიდობიან დროს, ომში შეიძლება საპატიო იყოს და პირიქით. წამიერი კადრი ზოგჯერ ისეა დატვირთული აზრითა და დოკუმენტურობით, რომ ხშირად ყველაფერს წყვეტს და მის მხატვრულობას პრინციპული მნიშვნელობა არცა აქვს. ბევრჯერ, ასეთ შემთხვევაში, კამერის რყევა და კომპოზიციის დარღვევაც კი ასატანია. მთავარია, დაინახო, მთავარია მოასწრო, რადგან ის წუთი აღარ განმეორდება.

ჯარისკაცივით სჭირდება ჟურნალისტს სიფრთხილე, სიფხიზლე და საზრიანობა, ბატონ რეზოს ამის დიდი გამოცდილება აქვს, რადგან ომის დაწყების პირველივე დღეებიდან იქ იყო. სწორედ ამაზე ვსაუბრობთ. იგი მახსენებს ერთ ცნობილ ეპიზოდს მისეული რეპორტაჟიდან: შვილს დაჭრილი მამა მოჰყავს მკლავებზე გადაწვენილი. ჟურნალისტი კამერას „დაუმიზნებს", აღელვებული, მეომარი კი შეაგინებს, რა დროს გადაღებაა...

უჩუმრად აიტანა. იცის, რომ ომში კაცი თავის თავს არ ჰგავს. ხასიათების პირისპირ დგები. ზოგს სურს გადაღება, ზოგს არა, ზოგიც გამოპარულია სახლიდან და არ უნდა თავისიანებს ეჩვენოს. საღამოს იმ ჯარისკაცს ბოდიში მოუხდია ბატონ რეზოსათვის, ის კადრი კი ერთ-ერთ უნიკალურ კადრად დარჩა.

დაუვიწყარი და უმეტესად ტკივილიანი ეპიზოდებისაგან შედგება ჟურნალისტის ფრონტული ცხოვრება. ასევე დაუვიწყარია კარგი რეპორტაჟი, კარგი ეპიზოდი მაყურებლისთვისაც. აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ კაცს, ახსოვს თუ არა კადრი, როცა პირმშვენიერი ჭაბუკები მრავალჟამიერს აჟღერებენ ტყეში. ეს ბატონ რეზოს ერთ-ერთი რეპორტაჟის ფრაგმენტია. იგი რამდენჯერმე ვიხილეთ ტელეეკრანზე და, ვინ იცის, რამდენჯერ გამეორდება. საოცარია ამ ეპიზოდის ცხოველმყოფელობა, იმიტომ რომ ეს არ არის ჟურნალისტის ნაკარნახევი პოზა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროს კაცმა, იგი თვით მეომართა ნება ყოფილა. როგორც ჟურნალისტი მეუბნება: „მეომრები დადგმულ სცენებს ვერ იტანენ, არ გამოეპარებათ ხელოვნურობის მომენტი, სიცილით მოკვდებიან. არც მე მიყვარს ყალბი კადრები, ომში მთავარია, მართალი იყო. ბევრჯერ სამი, ოთხი დღე ისე გასულა, არაფერი გადამიღია, ვიდრე შემთხვევა არ მომცემია..."

აი, რამდენჯერ ვახსენე, გადაუღია-მეთქი, რევაზ ოსეფაიშვილი კი უწინარესად, ჟურნალისტია. მასალის მოძიების, მოვლენების უტყუარი ალღოთი გამოირჩევა, ხშირად თვითონვეა ოპერატორიც. გააჩნია როდის, როცა ცეცხლის ხაზზეა გადასაღები, თვითონ იღებს. ახალგაზრდა ოპერატორს გელა კაკნაველიძეს მარტოოდენ იმიტომ კი არა, რომ მისი სიძეა, ახალგაზრდული სიფიცხის გამო არ უშვებს წინ კრიტიკულ მომენტში.

სწორედ ხასიათიდან გამომდინარე, იგი მუდამ იქ იყო, სადაც დიდი გაჭირვება ადგათ ჩვენს მეომრებს. იქნებ, ამიტომაც მოექცა ოთხჯერ ალყაში, პირველად ბატალიონ „შავნაბადასთან" ერთად ზემო კინდღთან, მეორედ სოფელ მერკულას მისადგომებთან „ავაზას" მებრძოლებთან ერთად. ბატონი რეზო მიამბობს: „მე და ბატალიონის უფროსი ტრისტან წითელაშვილი ისეთ ადგილზე და ისეთ დროს დავრჩით ორმოში, რომ სადაცაა მტერი დაგვადგებოდა თავზე. ტრისტანმა მთხოვა წადიო, არ მივატოვე. მალე ყანაში გამოჩნდნენ კიდეც აფხაზები. ტრისტანმა ის იყო ცეცხლის გახსნა დააპირა, რომ ნერვები მოთოკა, გავიტრუნეთ, აფხაზებმა ისე ჩაიარეს, ვერ შეგვნიშნეს. მესამედ ალყაში ბედიასთან ბრძოლაში „მხედრიონელებთან ერთად მოვყევი. რამდენიმე მათგანთან ერთ სახლში „შეგვრეკეს" და ყოველი მხრიდან გვესროდნენ. ლანჩხუთელი გოჩა კვირკველია ხელში ჩამაკვდა. ოცამდე კაცი მთელი ღამე ამ სახლში ვიყავით, გამთენიისას, როცა სროლა შეწყდა, დავინახეთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი თვითონვე გაპარულიყვნენ. მეოთხე ალყის დროს დაზვერვაზე გავყევი ტრისტან წითელაშვილს ლაბრაში. ორი თხრილი გავიარეთ და მესამემდე რომ მივაღწიეთ, სროლა აგვიტეხეს, როგორღაც უკანვე გამოვხოხდით.

—ბატონო რეზო, ჩანს იღბლიანიც ბრძანდებით.

უეჭველადო, მიპასუხებს, რამდენიმე მაგალითსაც იშველიებს:

— აი, იმ დღეს, განალმვას ჩვენი კოლეგები რომ შეეწირნენ, უეცრად თბილისში გამომგზავრება მომიხდა, თორემ უთუოდ მეც იქ ვიქნებოდი. ერთხელაც „ავაზას" მეთაური და მე ღრმა ორმოში ვსხედვართ. ნაღმტყორცნებიდან ისვრიან. ექვსი დაჭრილი ერთად წაიყვანეს, „ავაზას" მეთაურმა მკითხა, ხომ არ გაჰყვები საავადმყოფოში, ზოგი მძიმედ არის დაჭრილი და რამე რომ დაემართოთ, ცოცხალთა სახეები მაინც შეგვინარჩუნეო. წავყევი და როცა უკან დავბრუნდი, ბიჭებს სახეზე ფერი აღარ ედოთ. იმ ადგილზე, სადაც ადრე ვიყავით, უზარმაზარი ორმო დამხვდა. იქვე ნაღმი ჩავარდნილა და აფეთქების ტალღას ბიჭები 50 მეტრში გადაუსროლია, ზოგი სად, ზოგი სად. — აფსუს, რა კადრი დამეკარგა-მეთქი, ბიჭებმა გაიცინეს.

ბედია, აბა რა. ეხ, ომსაც შეჩვევა სცოდნია, ბევრჯერ დამიწყევლია თავბედი, სახლში რომ ჩავალ, აქეთ აღარ გამოვიხედავ-მეთქი, მაგრამ მალევე მომენატრებოდნენ ბიჭები და თბილისში დიდხანს ვეღარ ვძლებდი, უკანვე მივდიოდი.

შენაერთთა შორის, ეტყობ, ბატონი რეზო, ყველაზე მეტად ბატალიონ „ავაზას" ახსენებს და თანაც განსაკუთრებული სითბოთი, რით დაიმსახურეს ისოდენი გამორჩეულობა-მეთქი, მიპასუხა:

„ძალზე მებრძოლი ბატალიონია და იმით. ერთხელ, ახალმისულს, ერთმა მეომარმა მკითხა, იარაღი თუ გაქვთო, უარი რომ ვუთხარი, დაიძახა, ბიჭებო დავფაროთო, პირველი შეხვედრიდანვე თანადგომა ვიგრძენი და ასე იქცეოდნენ ყველგან, მუშაობის დროს, როგორც პატარა ბავშვს, ისე მიფრთხილდებოდნენ. სამწუხაროდ, იშვიათად მინახავს მეთაური, წითელაშვილივით საველე ჩანთით და რუკებით რომ დადიოდა. ერთი სიტყვით, ბატალიონს ისე შევეჩვიე, „ავაზას" ოფიცერიც გავხდი.

— შიშის ფაქტორზე რას იტყვით?

— რადაც უნდა დაგიჯდეს, შიში უნდა დაძლიო, პანიკაში რომ არ გადაიზარდოს. არასოდეს მიფიქრია სიკვდილზე და ტყვიაც ამცდენია.

უნდა აგცდენოდათ, ბატონო რეზო! თქვენც ბევრჯერ დაგვინდეთ ჩვენ, ტელემაყურებლები. ბევრი მძიმე მასალა არ გვიჩვენებიათ, აგვარიდეთ, ბოლომდე არ გაგვიმეტეთ, სევდამწვარ, გატანჯულ მშობლებს ნაწამები გვამები არ უჩვენეთ.

აფხაზეთის ომში სამწუხაროდ, დავმარცხდით, თუმცა, ცალკეულ ბრძოლებში იყო გამარჯვების სიხარულიც, იყო სიამაყეც და იყო სირცხვილიც. რეზო ოსეფაიშვილს კი ჟურნალისტური ფრონტის სარბიელზე სირცხვილი არ უჭამია. იგი დღეს ამზადებს ვიდეომოთხრობების სერიალს აფხაზეთის ომზე და ფიქრობს, რომ მალე ისევ შევა აფხაზეთში კამერით, ოღონდ არა საბრძოლო ფრაგმენტების, არამედ ნანგრევების აღდგენის გადასაღებად;

აი, ასეთი იყო ჩვენი უფროსი კოლეგა, ტელეჟურნალისტი რევაზ ოსეფაიშვილი ფრონტზე, ასეთივე პროფესიონალი, მაძიებელი და ენერგიულია იგი დღეს ქვემო ქართლში, რომლის კორესპონდენტადაც მუშაობს ამჟამად.

გამომშვიდობებისას ბატონმა რეზომ კალამი გამომიწოდა და სრულიად სერიოზულად მითხრა: ფრთხილად იყავი, ნაფრონტალია და ხანდახან „ისვრისო". ჩვეული გურული იუმორი მაინც გაურია, იქი „ნიანგის" ბიბლიოთეკას გამოუქვეყნებია კიდეც მისი იუმორესკები.

ესეც ერთი ძირითადი შტრიხია მისი პორტრეტისა.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## წერილი აბაშიდან

# გვენატრება მშობლიური ქუჩები

**ძვირფასო** რედაქციავ! 14 ვისტოს აფხაზეთის ომის შემ ჩვენს გულს სიხარული არ რებია. ხშირად გვესიზმრება ბლიური ტყვარჩელის ქუჩები, ური მეგობრები. ნუთუ, არ დეს გვეღირსება იქ დაბრუნ რა უნდა ვქნათ, არ ვიცით, ამ დღეებში ბედმა გაგვიღ ძლივს სასიხარულოც დაგვე თა: მწერალთა კავშირის თავ მარემ ბატონმა გურამ ფან ძემ საკუთარი კაბინეტიდან დი ტელევიზორი გვაჩუქა, სიზმარში გვგონია, თავიდან ვიწყებთ და კეთილ მიანები გვეხმარებიან.

უღრმეს მადლობას მოვ ნებთ ბატონ გურამ ფან და მთელ მწერალთა კავშირს, მელთა მაგალითი გვაკარნახ რომ კარგები და სამშობლოს თუულები უნდა გავიზარ ღმერთს ვთხოვთ, რომ ვაჟკაცური ადამიანები უშრ საქართველოს.

**ფიქრია და ლ ფუტკარაძე**

**ძვირფასო მკითხველო!** „აბჯარის" წინა გამოშვებ გთხოვდით თქვენი მოსაზრ გამოგვეთქვათ ქართული ჯარის ქმნის აქტუალურ საკითხებ უკვე მივიღეთ რამდენიმე წ ლი, ომის ვეტერანთა უმრავ სობა კი ტელეფონით შეგვე ნა. გულწრფელი მადლობა რედაქცია კვლავ მოელის კუთრებით ახალგაზრდებისა მართალ, პრინციპულ წერ შენიშვნებს, კონკრეტულ რებებს. ნუ დაიზარებთ, რებო! — მოგვწერეთ, ტელ ნით (93.18.70) შეგვეხმიანე გვახსოვდეს, რომ თუ საქართ ლოს არსებობა გვინდა — ვრესია ძლიერი, მობილური, წვრთნილი ჯარი!

თვალსაზრისი

# არჩევანი და არადანი

## „ზვიადიზმი“ თუ პროვინციული ფაშიზმი?

**მინდა თავიდანვე განვაცხადო: ჩემს მიზანს არ შეადგენს „ბალყულ ახაკის“ ულვაშებიანი ქალებით გარშემორტყმული პარანოიდალური გამსახურდიას პორტრეტის დახატვა. ეს მაღალპროფესიულად სიმონ მონტეფიორემ გააკეთა.**

მე მინდა ამ წერილში ჩემი შეხედულება გამოვხატო იმის მიმართ, რაც აშკარად ჯერ კიდევ ცოცხალია და საბოლოოდ არ დამთავრებულა.

ცინიკურ-ირონიული ტერმინი „ზვიადიზმი“ პირველად ტელევიზიასთან გამართულ მიტინგზე გაისმა. მომავალი თაობები უკეთ გაანალიზებენ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, რა უბედურება მოიტანა ქართული აზროვნების ზვიადურად მომართვამ. ჩემი მიზანი კი მოკრძალებულია — „ზვიადიზმის“ მხოლოდ ოთხ ნიშანზე მსურს გავამახვილო თქვენი ყურადღება.

**გამსახურდია** რომ შემთხვევით არ მოსულა ხელისუფლებაში, რუსეთის არჩევნებმაც დაადასტურა.

ჩემი აზრით, ჟირინოვსკიც და გამსახურდიაც ერთი ხის ორი ნაყოფია. აი, სამი კლავიში, რითაც მათ მოსახლეობის ფართო ფენებს გული აიძგერეს:

პირველი — არსებული წყობილების სისუსტეების წარმოჩენა (რაც ყოველთვის ძალზე იოლია);

მეორე — ეროვნულ გრძნობებზე თამაში (აპოლონის სახელით შეიძლება ნათელსაც ემსახურო და ბნელსაც, ეშმაკსაც და ღმერთსაც);

მესამე — აქაც და იქაც მაცდური, ფანტასტიკური დაპირებები: საქართველო — ქართველებისთვის!.. რუსეთი — რუსებისთვის (ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ჩვენ ასეთი ცალკეტუჩა ვყოფილიყავით და, ამ დროს, ერთ პატარა სივრცეში, გვერდიგვერდ მდგარიყო სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური, სომხური, რუსული და ქართული ეკლესიები).

გამსახურდიას მოღვაწეობამ ჯერ კიდევ ვერ გამოკვეთა შედეგი, ისახებოდა მხოლოდ ტენდენციები. ტენდენციები ნგრევისა, გაპარტახებისა, სულიერი სიბერწისა.

ამათგან მინდა გამოვყო ოთხი, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ტენდენცია.

**ტენდენცია პირველი.** 1990 წელს სამტრედიის რკინიგზის კვანძის ბლოკადით დაიწყო საქართველოში ძალმომრეობის და კანონის უგულებელყოფის დანერგვა (მაშინ ჩაეყარა საფუძველი შეიარაღებული პარტიების ჩამოყალიბებასაც). არსად, მთელ მსოფლიოში მსგავსი აქცია დაუსჯელი არ რჩება, რადგან ეს არ გახლავთ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ესაა მთლიანად სახელმწიფოს, ერის მიმართ ჩადენილი დანაშაული. მით უმეტეს, რომ სამტრედიის კვანძი, იმ დროისათვის, ოთხი სხვადასხვა რესპუბლიკის დამაკავშირებელი კვანძი იყო.

ჩემი აზრით, სწორედ სამტრედიის აქციამ შექმნა პრეცედენტი ნიადაგზე დღეს გამეფებული სრული განუკითხაობისა. დაუსჯელი დანაშაული, როგორც წესი, ახალი დანაშაულების სათავეა.

ამიტომაც მგონია, რომ „ზვიადიზმის“ ერთი ნიშანი **ძალმომრეობა და კანონის უგულებელყოფაა.**

**ტენდენცია მეორე.** გახსოვთ, ერთ მშვენიერ დღეს, როგორ იქცა პუშკინის სახელობის ინსტიტუტი სულხან-საბას სახელობის ინსტიტუტად. მოგეხსენებათ, პუშკინი არც ლენინი იყო და არც ორჯონიკიძე. რა დაუშავა მან ასეთი „ეროვნულ მოძრაობას“, დღემდე გაურკვეველია. სულხან-საბას ტოლი პიროვნება 4-5 თუ მოიძებნება საქართველოს ისტორიაში, მაგრამ საბა რომ ახლა გაცოცხლდეს, პირველი ის აგვახევდა ყურებს ამგვარი მკრეხელობისთვის.

მგონებ აქ გაჩნდა „ზვიადიზმის“ მეორე ნიშანი — უკიდურესი ნაციონალ-შოვინიზმი, ბრმა სიძულვილი სხვა ერებისადმი, ანუ როგორც მას შემდგომში უფრო ზუსტი სახელი ეწოდა — **პროვინციული ფაშიზმი.**

**ტენდენცია მესამე.** ერთ-ერთი მთავარი ავტორი იმ საარჩევნო კანონისა, რომელმაც ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა“ მოიყვანა, გახლდათ რეზო შავიშვილი. თვით ბატონი რეზო მაჟორიტარული წესით იყრიდა კენჭს. სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა დამატებითი ტაიმი. იმის მიუხედავად, რომ „მრგვალებს“ უკვე საკმაო უპირატესობით განაღდებული ჰქონდათ საერთო გამარჯვება, მათ იმდენი იმაიმუნეს, რომ თამაშგარეთ დატოვეს თვით საარჩევნო კანონის შემქმნელი.

აქ მხოლოდ უბედურებაზე როდია ლაპარაკი. საქმე იმ პრინციპშია, რომ გამსახურდიას ხელს არ აძლევდა უზენაეს საბჭოში ჭკვიანი ხალხის ყოლა, ამიტომ „მრგვალებმა“ მაქსიმალურად მიუკეტეს კარები „სხვაგვარად მოაზროვნეებს“, ხოლო ის „დისიდენტები“, რომლებიც მაინც მოექცნენ ამ საკანონმდებლო ორგანოში, სულ მალე გამსახურდიამ კრემლის აგენტებად და ერის მოღალატეებად შერაცხა.

თუ არ ვცდები, აქ უკვე იკვეთება „ზვიადიზმის“ მესამე ნიშანი — **ინტელექტის უარყოფა, „მრგვალების“ მონოპოლია აზროვნებაზე.**

**ტენდენცია მეოთხე.** მე რუსეთს იქით გავუკეთებ ბლოკადას, — ბრძანა პრეზიდენტყოფილმა. ეს ფრაზა, ალბათ, ყველაზე სხარტ ანეკდოტად შევა საქართველოს მატიანეში, თუმცა ამით არაფერი ეშველება ჩვენს აწეწილ-დაწეწილ ხამშობლოს.

ხსენებული „ბლოკადის გამოცხადების“ შემდეგ ჩვენ ჩაგვკეტეს ჯერ საკუთარ სახელმწიფოში, მერე საკუთარ კუთხეებში, მერე საკუთარ რაიონებსა და ქალაქებში, მერე საკუთარ უბნებში, ბოლოს საკუთარ სახლებში გამოვიკეტეთ და ახლა საკუთარი კარების გაღების გვეშინია.

აქ, ალბათ, საქმე გვაქვს ზვიადიზმის მეოთხე ნიშანთან, მეტი რომ არ ვთქვათ, **პოლიტიკურ ახლომხედველობასთან.**

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სწორედ „ზვიადიზმმა“, ძალმომრეობამ და კანონის უგულებელყოფამ, ულტრა ნაციონალ-შოვინიზმმა ანუ პროვინციულმა ფაშიზმმა, ინტელექტის უარყოფამ და პოლიტიკურმა დალტონიზმმა ჩაგვაგდო იმ შავ დღეში, რომელშიც ვართ.

### ამობრუნებული ჭოგრიტით

**ერთი** საკითხია — გადარჩება თუ არა რუსეთი უჩვენოდ.

მეორე საკითხია — გადავრჩებით თუ არა ჩვენ ურუსეთოდ.

დღეს, როცა მთელი მსოფლიო ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის, როცა იქმნება ევროგაერთიანებები, ევროპარლამენტი, საერთო ბაზარი, საქართველო მარტო ჩეჩნეთის ერთგულების ამარა, ბუნებრივია, ვერ იქნება.

ჩვენი, საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსების ერთი წყება, ვინც გააცნობიერა, რომ ჩვენ კარჩაკეტილი ვერ ვიცხოვრებთ, დიაგონალური კავშირებისკენ მიგვანიშნებს, ე. ი. რუსეთის გვერდის ავლით, პირდაპირ დასავლეთის ქვეყნებთან დავამყაროთ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა. შ. კავშირებიო.

ევროპის საერთო ბაზარში გაერთიანებაზე უკეთესს რას მოიფიქრებს კაცი. მაგრამ ევროპასაც ხომ უნდა ვკითხოთ, რამდენად ხელსაყრელია მათთვის ჩვენთან დამოყვრება.

საკვირველია, ოფიციალურ დასავლეთს კრინტი არ დაუძრავს, როცა ჩვენ თანამეგობრობაში გაწევრიანების სურვილი გამოვთქვით. მგონი, პირიქით მოხდა, — მიესალმნენ ამ გადაწყვეტილებას.

ახლა ჩვენთვის ვთქვათ, რატომ უნდა ავირჩიოთ მაინცდამაინც დიაგონალი და არა პერპენდიკულარი. მე ასე მგონია, თუ ჩვენ არ წავიდოდით მაღლა, დაბლა უკვე მზად იყვნენ ჩვენს გადასაყლაპად.

თუ ის უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა, რუსეთის ბრალი არ არის, რას ვერჩით მას.

თუ ის უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა, რუსეთის ბრალია, ამან ხომ ცოტა მაინც უნდა ჩაგვაფიქროს. სად არის იმის გარანტია, რომ თუ მოინდომა, უარესად არ დაგვსჯის?

ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თუ არ ჩავყვებით, მაინც ჩაგვითრევენ? რა ფორმით იქნება ეს — პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური თუ სამხედრო, შეუნიღბავი თუ შენიღბული გზით, სულერთია, ჩაგვითრევენ. რუსეთი ისე მოგვექცევა, როგორც მოესურვება, დასავლეთი კი ჩვენს გამოსასარჩლებლად თითსაც არ გაანძრევს, ისევე, როგორც აქამდე არ გაანძრია. არა იმიტომ, რომ რუსეთი გულზე ეხატება, საქართველო კი სძულს (შესაძლოა პირიქით), არამედ იმიტომ, რომ რუსეთის კვლავაც ეშინია.

განა საიდუმლოა, რომ ღია პოლიტიკის გარდა, არსებობს კულუარული პოლიტიკაც. ვინ იტყვის, იქნებ რუსეთმა იმიტომ დათმო გავლენის სფეროები აღმოსავლეთ ევროპაში, რომ სანაცვლოდ კავკასიაში ცხვირი არავის ჩააყოფინოს? განა, კოზირევის განცხადება ჩინეთში ვიზიტისას — ჩვენ ავუკრძალავთ დასავლეთს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევასო, ამის დასტური არ არის?

დღეს ვერც ერთი ჭკუათამყოფელი ვერ იტყვის, რომ თანამეგობრობაში შესვლა უბედნიერესი არჩევანია ჩვენთვის. მაგრამ საქმეც ისაა, რომ შესვლა — ვაი! არ შესვლა — უი!

ამ „უის“ ფონზე ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ, ბატონებო, რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ხელშეკრულება, ოღონდ ერთსა გთხოვთ, წვრილმან ფაქტებს გამადიდებელი ლინზით ნუ შეხედავთ, ხოლო მსხვილმანსა და არსებითს კი — ამობრუნებული ჭოგრიტით.

### სული თუ კუჭი

**შევარდნაძის** ჩამოსვლისთვის საქართველო პიზის კოშკივით წამოქანებული იყო დასაცემად, მაგრამ, პიზის კოშკისგან განსხვავებით, მისი შეკავება თვით ღმერთებსაც აღარ შეეძლოთ.

დაიქცა ქვეყანა და, თითქოს პანდორას სკივრიდან ამოფრინდნენო, ყოველ კუთხეს მოედო შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, ტერორიზმი, ბოღმა, განუკითხაობა, შიში და ძრწოლა.

ანეკდოტი: ებრაელი ისრაელში ჩადის. [illegible] ხარო. პურს აიღებ, დაგენაცვლე, გიხარია, წყალი მოვა, გიხარია, შუქი აინთება, გიხარია, მეტროდან ცოცხალი ამოხვალ, გიხარია, კარებს გააღებ, არ აფეთქდება, გიხარია... [illegible]. მაგრამ მეშინია ამდენი სიხარულისაგან გული არ გამისკდეს.

ახლა გამოვარდება მიტინგზე [illegible] ხიანად შესძახებს: მშიერმუცელა მონებო, შიმშილსაც გაუძლებს კაცი, სიცივესაც, უსინათლობასაც აიტანს, ყაჩაღებსაც გაუმკლავდება, ინფარქტსაც არ შეეპუება, ოღონდ სულს რას უშვრებით, რას. კუჭისთვის სულს რატომ აწამებთ, უჰ, თქვენი...

მართლაც, დაფიქრდები კაცი. ამ ეროვნულმა თუ პიროვნულმა მოძრაობამ განასპეტაკა თუ დააკნინა ჩვენი სული? შევიხედოთ სკოლებში, ინსტიტუტებში, თეატრებში, სტადიონებზე, საგამოფენო, კინო და საკონცერტო დარბაზებში, სად გაქრა ჩვენი დადებითი ემოციები, რაც უპირველესი სარჩოა ჩვენი სულისა?

მოიხედავ და, კუჭზე მეტად, თურმე, სული დაგვიმშევია, დაგვითრგუნავს, დაგვიჩაჩანაკებია...

თავისუფლება სულს მართლა მოსწყურდა?

„სჯობს ფეხზე მდგარი მოკვდე, ვიდრე იცოცხლო დაჩოქილმა“, — რა ფრთიანი გამოთქმაა, რა ლამაზი, რა იდეალური!

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი თაობისთვის ეს მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი. დაჩოქილი ვიყავით, დაჩოქილი დავრჩით, ხომ არ არიან ამაში დამნაშავენი, უპირველესად, სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის სპიკერი, რომელთა უშუალო მეცადინეობითაც კვლავ რუსეთს ჩამოვეკონწიალეთ კისერზე?

ჩვენ მოგვეცა ხუთწლიანი ვადა გამოვრკვეულიყავით — ვართ თუ არა ღირსი ჭეშმარიტი თავისუფლებისა. აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტი ჩაიფუშა, ჩაიფუშა იმიტომ, რომ ჩვენ მცდარი წარმოდგენა გვქონია მისი მიღწევის გზებზე, ნუგბარდაწყობილი ლანგრით არავისთვის მიურთმევიათ თავისუფლება. როგორადაც იგი მოიპოვება, იმისთვის კი ჩვენ მზად არ ვიყავით.

თუნდაც აფხაზეთის ომმა დაგვიდასტურა ეს, როცა მაღალი ჩინოსნები აფხაზეთში გასაგზავნ 3000 ტონა შაქარს, 2000 ტონა ზეთს, 800 ტონა ხორცს და სხვა პროდუქტებს მხოლოდ ბუღალტერიაში აფორმებდნენ და საკუთარ ჯიბეებს ისქელებდნენ, როცა ერთმანეთს დავუწყეთ ხოცვა-ჟლეტა, იმის მაგივრად, რომ ერთსულოვანი ვყოფილიყავით, დაბოლოს, როცა ქართველების უმრავლესობა პირველივე გაჭირვებამ შეაკრთო, ნათელი გახდა, რომ ერი მზად არ იყო თავისუფლებისათვის.

კიდევ ერთი, — საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის არ არის მზად თვით რუსეთიც. ისევე როგორც ჩვენთან, დემოკრატია რუსეთში მხოლოდ ჩანასახშია. იქ ჯერ კიდევ მძლავრობს ველიკორუსული შოვინიზმი და იმპერიული მიდრეკილებები, რაც ჟირინოვსკის ამომრჩევლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. ჩვენ ამ ეტაპზე არა ვართ ამ წინააღმდეგობების გადამლახავნი.

სწორედ ამიტომ, არც სახელმწიფოს მეთაურს და არც პარლამენტის სპიკერს უფლება არა აქვთ დაბრკოლებებით ატარონ ის ერი, რომელიც მზად არ არის დაბრკოლებების გადასალახავად.

დღევანდელი ხელისუფლება პასუხისმგებელია მომავალი თაობების წინაშე. ამიტომ მას არა აქვს უფლება უფსკრულში გადაჩეხოს დახლეჩილი, გათითოკაცებული, საშოვარს გადაგებული ერი, მან უნდა მისცეს შანსი იმ თაობას, რომელიც თავისი შინაგანი კონსტიტუციით, ერთსულოვნებით, თავგანწირულობით მზად იქნება ზიდოს ჭეშმარიტი თავისუფლების ტვირთი.

ამიტომაც ყოველთვის როდია აუცილებელი მხურვალე და მჭექარე პროტესტები, ზოგჯერ საკმარისია მდუმარე თანხმობაც.

**პეტმარ აბაიშვილი.**

---

პოზიცია

# ტყვეებით ვაჭრობა და... უარესიც XX საუკუნის საქართველოში!

ს შემდეგ, რაც ქვეყანა გავაეთ, რაც ვართ — ქართველები ოთ, მერე კი, ვაი, უბედურე, რაც სისაძაგლეა, ყველაფრის ისი და ზანდუკი ჩვენ ვყოფიოთ, ცოტა შევისვენეთ და ახწონასწორობის აღდგენას ვლა — ქართველებიც ისეთები, როგორებიც სხვები არიან, ც იმდენი გვყავს ბოროტი და ლო, რამდენიც სხვებსო.. რასაკვირველია, მართლაც, ოღონდ არ უნდა დავივიწყ რომ ჩვენ სხვებს გაქანებითა გულმოდგინებით ვჯობნით: ყოფითი გვაქვს, გასაოცარი ზაითაა წარმოდგენილი, დადები გვაქვს — მსოფლიოს ვიპყრ

ცნობილი მაგალითი: ტყვეებით რობა მხოლოდ საქართველოს ერება როდი იყო, მაგრამ ამ ეშიც ჩვენ გაუგონარი „გულმერება“ გამოვიჩინეთ. ამიტო იყო, რომ ევროპელებს, ვის ფონაც თითქმის მთელი ამერიაფრიკიდან გატაცებული ტყვე აივსო, მაინც ქართველთა ება აკვირვებდა. აკვირვებდა მადიდებელი ქრისტიანი ქაელის სულუკეთურობა, როც ასევე მართლმადიდებელ ტიან მეზობელს ყმაწვილს ავდა და „ეშმაკის კვერთხის“ ისთვის ურჯულო მუსულმანყიდდა.

XVII-XVIII საუკუნეების საქაელოს ამ სიტყვითგამოუთქმელ ბედს საზღვარი ერეკლე მემ და სოლომონ პირველმა და. სიკვდილით დასჯა შემოიღტყვის სყიდვისათვის“ და საქაელოს მომავალიც გადაარჩინ

ტორია ფარსად მეორდებაო, ენ.

განმეორდა!

ევანდელ საქართველოში მეკლასელი მოსწავლე მერხზე მის გვერდით მჯდომი მეგობრის მოტაცებას „აწყობს“, რათა მერე თანაკლასელის მშობლებს, ვის სახლშიც იქნებ ასჯერ ყოფილა, თავისივე შვილი ზღაპრულ ფასად მიჰყიდოს.

მართალია, ერეკლეს სამშობლო კახეთმა ახალ დროში ფარსის პირველსავე დადგმას კაკაბეთის ზარების დარისხებით უპასუხა; ტყვით მოვაჭრეებსაც დროებით ხასიათი გაუფუჭა, მაგრამ „მთლიანი“ საქართველოს გენში ჩაღებულმა კოდმა იმძლავრა და დღეს ოდნავ შებინდებისას, ისე როგორც მამლუქობის დროს, თუ ბავშვი გარეთაა, მშობლებს გული უსკდებათ, თუმცა არა მხოლოდ ბავშვის გამო. „ტყვის სყიდვის“ აყვავების დროიდან ცხოვრება ორი საუკუნით დაბერდა, ალბათ, ამიტომ დღევანდელი სულგაყიდულები მოზრდილებსა და ჭარმაგებსაც არ იწუნებენ. მათი გამოსასყიდი ზოგჯერ გაცილებით დიდია.

ერთი სიტყვით, ტყვეებით ვაჭრობა აღვადგინეთ, — ტრადიციას ხომ არ დავკარგავდით! ოღონდ, ძნელი სათქმელია, როდის აღვადგენთ ბაგრატიონთა დინასტიას. რადგან, როგორც ჩანს, ამ უკეთურობის წინააღმდეგ საბრძოლველად სწორი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ამ გვარის პრეროგატივაა.

ახლა უარესზე.

უარესი რაღა იქნებაო, იკითხავს კაცი.

უარესი ის არის, როცა მკვლელი თავის მსხვერპლს, ვიდრე მოკლავდეს, წლების განმავლობაში უამრავი ფულის გადახდას ავალდებულებს. მსხვერპლიც ამ მოვალეობას სიტყვაშეუბრუნებლად და დიდი მონდომებით ასრულებს, თუმცა მკვლელმაც და განწირულმაც შესანიშნავად იციან, დანდობა არ იქნება, სასიკვდილო განაჩენი აპელაციას არ ექვემდებარება — სიკვდილამდე თითებზე ჩამოსათვლელი წლები რჩება და ყველაზე უარესი ის არის, რომ ამ შემთხვევაშიც დაღუპულთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდობაა — ერის გენოფონდის საუკეთესო ნაწილი.

ალბათ, მიხვდით რაზე, და ვისზეა ლაპარაკი? — ნარკომანებსა და ნარკოტიკებით მოვაჭრეებზე მოგახსენებთ. ვინ არის ნარკოტიკებით მოვაჭრე? — იგი ჩვეულებრივ მკვლელზე ასგზის უფრო დიდი დამნაშავეა, რადგან, თუ მკვლელმა ახალგაზრდა კაცი გასწირა, მართალია, საზოგადოება კარგავს მოქალაქეს, მგლოვიარდება ოჯახი, მაგრამ დრო თავისას შვება, ცოტა ხნის შემდეგ ცხოვრება კალაპოტში დგება, საზოგადოება ჭრილობას იმუშებს, ოჯახი წელში იმართება. მაგრამ თუ იმავე არაკაცმა ახალგაზრდა კაცი ნარკომანი გახადა, დაავადებული საზოგადოებისთვის ხომ მკვდარია და მკვდარი, ოჯახისთვის მუდმივი გლოვა და გაუხარელი ყოფაა, უთვალავი ფულის ხარჯვაა, ნარკომანის მხრიდან — ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა და, ვაი, უბედურებავ, საკუთარი ცოლის დაგირავებაც კი.

თუმცა ღვთის რისხვა არც ამით მთავრდება, ნარკომანის ოჯახში უმცროსებიც ფუჭდებიან, ძალით თუ წამხედაობით ისინიც ნარკომანები ხდებიან.

დიახ, ნარკოტიკების მოვაჭრენი მკვლელებზე უფრო დამნაშავენი არიან, რადგან არავის გაუგონია მკვლელი, თუ იგი შეურაცხადი არ არის, მკვლელობას ყოველგვარი მოტივის უქონლად სჩადიოდეს. მკვლელობის მოტივი ხშირად თვით მოკლულში უნდა ვეძებოთ. ყველაზე გაუსწორებელი ყაჩაღიც კი, თუ მსხვერპლი წინააღმდეგობას არ უწევს, მკვლელობას ერიდება. ნარკოტიკებით მოვაჭრენი ადამიანს კლავენ ყოველგვარი მოტივის გარეშე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

ნარკოტიკებით ვაჭრობა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაულია იმ დანაშაულთა შორის, რაც ადამიანს ადამიანის წინააღმდეგ შეუძლია ჩაიდინოს. ამიტომაც მათ წინააღმდეგ კანონი მხოლოდ დაუნდობელი უნდა იყოს.

ამ კატეგორიას მივაკუთვნებდი ისეთ დანაშაულს, როცა ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქების შემდეგ რეანიმაციულ განყოფილებაში ავადმყოფები იღუპებიან, ტერორისტების მიერ აფეთქებული ნაღმების შემდეგ სრულიად უდანაშაულო ადამიანები კვდებიან და ყველაფერ ამას დამნაშავენი წინასწარ განზრახვით, გააზრებულად, ტექნიკური ცოდნისა და ტექნიკის გამოყენებით აკეთებენ.

მაშ, ასე: საზოგადოების, ერის აბსოლუტური უმრავლესობა შრომობს, მოქმედებს, მოღვაწეობს იმისათვის, რომ საკუთარ ქვეყანას სულიერი და ხორციელი ცხოვრების პირობები შეუქმნას, თანამოძმეს გაჭირვება შეუმსუბუქოს „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას“, საზოგადოების მეორე, საბედნიეროდ, რაოდენობით პაწაწკინტელა ნაწილი, ბოროტების ბუდე და ძირი, სატანის გზას დამდგარი, ყოველნაირად ცდილობს, სიკეთის ამოშანთვას, ერის სულიერად გადაგვარებას, ფიზიკურად განადგურებას. საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას ცხოვრებას უმწარებს, ადამიანური ცხოვრების საშუალებას არ აძლევს, და... ყოველგვარი ლოგიკისა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ იმავე უმრავლესობის ინტელექტუალური ელიტა ამ ჯოჯოხეთის მოციქულთა დამცველებად გვევლინება, თანაც სიკვდილით დასჯის შემოღების მოწინააღმდეგენი ქრისტეს მცნებებს იმოწმებენ.

მე არ ვიცი, რომელ ჭურში ისხდნენ ეს ბატონები, ვიდრე პარლამენტის შენობაში მივიდოდნენ. არასდროს წაუკითხავთ ან არ მოუსმენიათ, როგორ სჯიან სიკვდილით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სხვა ქვეყნებშიც გამოუსწორებელ არამზადებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა გულმოწყალებისა და ქველმოქმედების სასწაულებს ახდენს, როცა საქმე ადამიანური მოვალეობების შესრულებას ეხება. აბა, მოვიგონოთ, როგორ ექცევიან ფსიქიურად დაავადებულთ თუ ფიზიკურად არასრულფასოვანთ ამერიკის სახელმწიფო თუ კერძო პირები. მერე შევუდაროთ ამას ჩვენი, ჯანსაღი ქართველების დამოკიდებულება ადამიანთა იმავე კატეგორიისადმი (თავისმომჭრელ ფაქტებს აღარ დავასახელებ), თუმცა ყველამ ვიცით, რომ ნორმალური ცხოვრების ხანაში რესტორანში მოქეიფე 100 ქართველიდან 98 მზად იყო იმავე რესტორნის რომელიღაც მაგიდაზე მჯდომი არა თუ მეტნაკლებად ნაცნობისთვის, არამედ სრულიად უცნობი უცხოელისთვისაც კი ყუთობით კონიაკი და შამპანური მიერთმია — ასეთია ჩვენი ნამდვილი გულმოწყალება და ქრისტეს სიყვარული.

აქ უნდა ვამთავრებდე, მაგრამ, რადგან კალამს ხელი მოვკიდე, ერთიც უნდა ვთქვა: დღეს ყოველი მეორე (თუ უფრო მეტი არა) საჯაროდ გვმოძღვრავს, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო! თუ ამ სიბრძნეს კატეგორიულად მივიღებთ, გამოდის, რომ მე მხოლოდ მეცნიერული კვლევა და ლექციების კითხვა მევალება. მეტი კი არაფერი უნდა ვაკეთო. ჰოდა, დავდგე და უნდა ველოდო, როდის აიხსნის პირზე ბოქლომს ათეულობით პარლამენტარი, ვისი ხმა ერთხელაც არ მომისმენია. ან როდის ჩაიხედავენ ქრისტეს ნამდვილ მოძღვრებაში ის პარლამენტარები, ვინც სიბრალულსა და მიმტევებლობას გვასწავლის, ერის მომავალი კი ფაქტობრივად ფეხებზე ჰკიდია?!

უფრო მეტიც, მე მთლად კარგად არ მესმის ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილისა, ჩემი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კოლეგებისა, რომელთაც, რატომღაც პირში წყალი ჩაუგუბებიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ გვერდზე გამდგარან და ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადამწყვეტ მომენტში „არჩარევის“ პოლიტიკა აურჩევიათ.

სხვა რომ არაფერი იყოს, ბატონებო, ჩემი და თქვენი აშკარად გამოსვლა ხომ შეგულიანებაა იმ პარლამენტარებისა თუ მთავრობის წევრებისა, რომელთაც საღი აზრის დაცვა, ბრძოლა სწადიათ, მაგრამ დამუნჯებული საზოგადოების ფონზე ვერაფერი უთქვამთ, თანამოაზრეების გარეშე დარჩენისა ეშინიათ.

მივაშველოთ მათ ჩვენი ხმა, ბატონებო!

დღეს საქართველო გზაჯვარედინზე დგას: ან ერის გადარჩენა, რაც საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის დაცვას, სახელმწიფოს ვალდებულების განხორციელებას ნიშნავს, ან დამნაშავეთა სამყაროს წინაშე ფარხმლის დაყრა და ერის საბოლოო დაღუპვა.

როცა ადამიანი ადამიანის სახეს კარგავს და სატანის სამსახურში ჩადგება, როცა იგი განადგურებით ემუქრება მთელ ერს, საზოგადოება ვალდებულია ასეთი ადამიანის სახის მქონე მხეცებს გაუსწორდეს ისე, როგორც ისინი ამის იმსახურებენ და ეს უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება ჩქარა — ღვარძლი მხოლოდ და მხოლოდ უნდა ამოიძირკვოს.

**ალექსანდრე ფოცხიშვილი,**

**გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

---

### კარიკატურისტის თვალით



რძინბას სისხლიანი ნაბიჯები.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

---

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# მაყვალა გონაშვილი

### მამლის წელიწადი

კიდევ კარგი, რომ მაინც გათენდა,
კიდევ კარგი, რომ თოვლი მოვიდა
და იზმორება ჩემი ქალაქი
თვალებდათხრილი მძიმე გლოვისგან.
თოვლზე იმდენი ლექსი თქმულა, რომ
მე უკეთესი რა უნდა გითხრა.
ცა ნაგვის ბუჩქებს თეთრ ვარდებს ათოვს
და მიირწევა მაძღარი ვირთხა.
მაძღარი ვირთხა, მშიერი ქალი...
დაჭრილი ლექსი, სიმღერა უხმო,
გადავიწყვიტო მეც შუბლის ძარღვი
თუ მამაუფალს საშველად ვუხმო.
ამოახველებს ქარებს ქალაქი,
ჩემს სნეულ ქუჩებს ვინ მისცემს წამალს,
თენდება, სადღაც ყივის მამალი,
ნეტავ რა უნდა ქალაქში მამალს.
მამლის წელია, ჩვენც მამლებივით
გვიყვარს ყინჩობა, ყელყელაობა,
მერე რა, თუკი იღვრება სისხლი
და ბოღმიანი მოდის თაობა.
და რა იოლი გახდა სიკვდილი,
შემოეჩვია ქუჩებს ქარონი,
ეგება თოვლმა მაინც შეგვმოსოს
უსასონი და უსახლკარონი.
ისევ თოვს, თითქოს პატარძლობს ზეცა,
თითქოს გულს დარდი გადაეყარა.
იქნებ ცოდვებიც დაფაროს თოვლმა
და განიწმინდოს იქნებ ქვეყანა?!
იქნება მტკვარიც გახდეს ანკარა,
იქნებ ვუშოვოთ სნეულს წამალი?
იქნება მართლა გაიხსნას ზეცა...
თენდება, სადღაც ყივის მამალი.

### გაუდეამუს

„გავიხაროთ, ვიდრე ახალგაზრდები ვართ“.
(ძველებური სტუდენტური სიმღერა ლათინურ ენაზე)

უკვე აღარ მიხარია რუსთაველზე გავლა,
მზის მხარეა ეს ქალაქი თუ ავგიას თავლა.
ამ ცოდვის მთას ალბათ წარღვნის წყალიც ვერ წალეკავს,
ვინ უშველის ამდენ ბუდეჩამოქცეულ მერცხალს.
ჩახლეჩილი ხმით გავკივი, ვიღა ბაძავს ბულბულს.
სახლში, გარეთ, პარლამენტში, ყველგან ზანტი-ბუბუ.
გული ორად გაყოფილი, გახლეჩილი ერი.
ვდგევარ ჩემი სკოლის ფერფლზე, ვტირივარ თუ ვმღერი?

●

რა ჭაღარა მორევიათ
ჩემს უდარდელ ძმაბიჭებს?
ბავშვობიდან კაცობაში
როგორ გადავაბიჯეთ?
ადვილია სიტყვის თქმა და
ძნელი არის დანდობა,
ვინ დადაღა ექვის შანთით
ჩემი ახალგაზრდობა.
გაიარეს ყრმობის წლებმა
ტაშითა და „ურათი“,
მე კი ვდგევარ — გულისპირზე
ძმაკაცების სურათით.
მე ვარ გმირი, მე ვარ მკვლელი.
მსაჯული და უფალი
და როგორც მსურს ისე ვმღერი,
მე ვარ თავისუფალი.
ვიდრე ახალგაზრდები ვართ,
მოვკლავთ სატრფოს ფერებით,
მზეს, მზეს ვეძებთ შაშხანით და
დაგესლილი ვენებით.
ნუთუ ყველა „კაიფში“ ვართ
პატარებიც, დიდებიც...
საით მიდის, ხალხო, ეს გზა,
საით მივედინებით?
ისე მოკვდა მზე ჩემს სულში,
ვერ მოასწრო ანთება.
დედავ, იჭვით რად მიცქერი,
დედავ, რა გემართება?
ცრემლის იქით მამულია,
მამულს აქეთ ცრემლია,
ლხინში არა, ძმაკაცები
ახლა ცაში მღერიან.
და დრომ იცის, ვინ იქნება
ჩვენში ბოლო თამადა.
დღეს კი ვმღერი, ავადა ვარ,
ძლიერ, ძლიერ ავადა.

### მზია ხეთაგურს

შენ გინდა სახლი, შენ გინდა სითბო,
ცისფერი კაბა ლურჯი ღილებით,
გაძარცული ხარ, ვით მეფე ლირი,
შენივე ნებით და ახირებით.
ამდენ დღეობებს, ამდენ სამძიმრებს,
ამდენ სხვის ტკივილს უნდა რა გული,
შენ გენანება შავი ლამურა
უსუსური და მზედაკარგული.
შენ შეგიძლია სხვას ფერთგულო
და მხოლოდ თავთან იყო მტყუანი,
უცხოა შენთვის თავის კანტური
და პირფერობის ჭრელი ვუალი.
სად არის ნატვრის მწვანე კუნძული,
სად არის გემი თეთრი აფრებით?
როგორც რომანში წაკითხულ ქალებს,
გიცქერენ იჭვით და ჩასაფრებით.
წლები კი, წლები მაინც მიდიან,
მაინც მიდიან, მაინც მიდიან,
მკაცრია მიწა და მომლოდინე,
შორსაა ზეცა, ხალხი ფლიდია.
ვინ გისახსოვრებს მუჭა გაზაფხულს,
ვინ გადაგიხსნის ჩაკირულ ზეკარს,
ქუჩაში ქარი აწვალებს ალვას
და ხალხს ჰგონია, რომ ალვა ცეკვავს.

### გახსენება

მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ მამა,
ვარსკვლავები — დებ-ძმები... აღარავის ახსოვს,
სიყვარული, თავგანწირვა, დანდობა და რწმენა,
არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.
პოლიტიკა — აი ჩვენი თეატრი და წიგნი,
პოლიტიკა — აი ჩვენი მარილი და პური,
მთავარია ჩვენი აზრი, სხვა სუყველა ცრუობს,
და ბრძენკაცის რჩევასაც კი არ დავუგდოთ ყური.
მერე რა, თუ ამ ქვეყანას ჩალაც არ ახურავს...
მერე რა, თუ სითბო უნდა კერაჩამქრალ სახლებს,
გამოაკლდა ჩემს თაობას არაერთი ბიჭი,
მიემატა დღეს მუშტარი ჯიხურებს და დახლებს.
აირია ერთმანეთში რწმენა, ცოდვა, მადლი...
აგორდა და აიზილა ცა, მიწა და წყალი...
რა უცნაურ დროში ვცხოვრობთ — ერთი დღით და ღამით.
ზოგს წარსული დაეკარგა და ზოგს მომავალი.

. . .

მესიზმრება: ზღვა ბობოქრობს, ნავზე რჩება ეშმა,
იცინის და დაუნდობლად ფეხებს აჭრის მტრედებს,
იქნებ ბინდი გადავყაროთ, იქნებ გავიღვიძოთ,
მზე რომ დედა არის ჩვენი, იქნებ გაგვახსენდეს.

## ინფორმაცია

### რეპლიკა

## „საქენერგოს": — ფიცი კი გვწამს, მაგრამ... ბოლო?

„ჩვენს მკითხველებს, საქენერგოს!" — ასე იყო დასათაურებული ჩვენი გაზეთის 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლითაც ვიტყობინებოდით, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" 10 თებერვლის ნომერი ელექტროენერგიის უქონლობის გამო ვერ გამოვიდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდიდით კიდეც. ბოლოს იმასაც აღვნიშნავდით: „ვიმედოვნებთ, რომ რედაქციისათვის სინათლის მიუწოდებლობის ეს შემთხვევაც საერთო გაჭირვების ბრალია და არა საბოტაჟისა".

მაგრამ თითქმის იგივე განმეორდა მეორე დღესაც, პარასკევს, როცა ელექტროენერგიის ხშირი გამორთვის გამო დაგეგმილი რვაგვერდიანის ნაცვლად ოთხგვერდიანი გაზეთის გამოშვებაც ძლივს შევძელით. სამწუხაროდ, ამით არ დამთავრებულა ჩვენი „ოდისეა", იმავე მიზეზით ვერ გამოვეცით ვერც 17 და ვერც 18 თებერვლის ნომრები. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

დილიდან საღამომდე ვრეკავთ „საქენერგოში", ვეთხოვთ... გვპირდებიან, მაგრამ... 5-10-წუთით ჩაგვირთავენ ელექტროენერგიას და ისევ გვითიშავენ. რედაქციისა თუ სტამბის მუშაკების ნერვებსაც რომ თავი დავანებოთ, ზარალდება, მწყობრიდან გამოდის ძვირადღირებული სასტამბო მოწყობილობა. ვერ იწყობა საგაზეთო მასალები.

როდემდე გაგრძელდება ასე? ვინ აგებს პასუხს იმ ინფორმაციული ვაკუუმის გამო, რომელიც შეიქმნა ჩვენი ელექტრომომარაგების მუშაკთა [illegible], უგერგილობის, პირდაპირ ვიტყვით, დანაშაულებრივი გულგრილობის გამო?

ამიტომაც ვეკითხებით „საქენერგოს" მესვეურებს:

**გაგვაგებინეთ, რეალურად ფლობთ თუ არა თქვენს ხელთ არსებულ (მართალია, საკმაოდ შეზღუდულ, მაგრამ მაინც არსებულ!) რესურსებს, თუ ისევ პარპაშებს ამჟამად „ღრმა იატაკქვეშეთში" მიმალული ის ავადსახსენებელი „ენერგეტიკოსთა კავშირი", რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა მოსახლეობას?**

**დიახ, ეს გვაინტერესებს, თორემ თქვენი ფიცისა უკვე ნამდვილად აღარ გვწამს. რადგან მისი „ბოლო" დღეს უკვე ნათელია ყველასათვის!**

### ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ

## იმედი რჩება...

**1993 წლის 22 ოქტომბერს ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა თბილისში, ფურცელაძის ქუჩა № 18 სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა წერილი „კენწეროდან — ქვედა ტოტზე". მასში ლაპარაკი იყო 18 კვადრატულ მეტრ ოთახზე, რომლის ირგვლივაც წლების მანძილზე მიმდინარეობს დავა სასამართლო ორგანოებში. ოთახი ირიცხება 1947 წელს თბილისიდან წასულ და ამოწერილ ჩიტო კვიტაიშვილის სახელზე. 1956 წელს აქ ჩაეწერა გიორგი კოლუა. ამ ხნის მანძილზე არც ერთი და არც მეორე, როგორც მეზობლები ამტკიცებენ, თვალით არავის უნახავს.**

**ამ სამიოდე წლის წინათ ყოფილი სახლმმართველის ზ. შონიას თანხმობით ოთახში შესახლდა ამავე სახლის სხვენზე მცხოვრები, 8 სულისაგან შემდგარი თოფურიების ოჯახის ნაწილი, რომლებიც კარგა ხანია ბინის მიღების აღრიცხვაზე არიან. ამის შემდეგ მთაწმინდის რაიონის საბინაო ტრესტმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გიორგი კოლუას მიმართ ამ ოთახზე უფლებადაკარგულად ცნობის შესახებ. რატომღაც დღემდე ეს საქმე ვერ დამთავრდა იმის მიუხედავად, რომ იგი განიხილა ყველა ინსტანციის სასამართლომ.**

**ამჟამად თოფურიების საჩივრის საფუძველზე რესპუბლიკის პროკურატურა სწავლობს სადავო ოთახთან დაკავშირებულ საკითხებს. რედაქცია იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის პროკურატურა გულდასმით მოეკიდება თოფურიების გასაჭირს და ობიექტურ დასკვნას გამოიტანს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ.**

**ზ. იაშვილი.**

## ზვიად გამსახურდიას ნეშტი გროზნოში გადაასვენეს

როგორც ცნობილია, 16 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში გამსახურდიას ოჯახის წევრების თხოვნით ასევე შედიოდნენ ლიტვის რესპუბლიკის წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ზვიად გამსახურდიას ნეშტის ამოცნობასა და ქალაქ გროზნოში გადასვენებაში.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს ანზორ ბალუაშვილს, რომელიც 1992 წლიდან ხელმძღვანელობდა ზვიად გამსახურდიასა და სხვათა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, მოეთხრო ნეშტის გადასვენების გარემოებათა შესახებ:

— 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც აწარმოებდა გამომძიებელთა ჯგუფი ჩემი ხელმძღვანელობით. გამოძიებით შეკრებილი მასალებით გამსახურდია მხილებული იყო მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში, რის გამოც მის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების შესახებ, მაგრამ აღნიშნული დადგენილება ვერ შესრულდა საზოგადოებრიობისათვის ცნობილი მიზეზების გამო.

1994 წლის 5 იანვარს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ოფიციალურმა პირებმა საქართველოს ხელისუფალთ აცნობეს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი. ამის შესახებ ცნობები გაავრცელეს რუსეთის ფედერაციის ტელევიზიამ და სხვა საინფორმაციო საშუალებებმა. ეს მონაცემები გახდა საფუძველი იმისა, რომ ჩაგვეტარებინა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება მიღებული ინფორმაციის რეალობის დასადასტურებლად.

6 იანვარს რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად გავემგზავრეთ ზუგდიდის რაიონში, სადაც, მიღებული მონაცემებით, ერთ-ერთ სოფელში დაკრძალული უნდა ყოფილიყო გარდაცვლილი გამსახურდიას ცხედარი. მივიღეთ შესაბამისი მონაცემები, რომლებიც აშკარად მიუთითებდა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტზე. ამავე პერიოდში ჩეჩნეთის რესპუბლიკის ოფიციალურმა პირებმა საქართველოს მთავრობას მიმართეს, რომ ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრები კატეგორიულ უარს აცხადებენ ცხედრის ზუსტი ადგილსამყოფელის ჩვენებაზე, თუ არ იქნებოდა დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები. კერძოდ, მოითხოვდნენ, არ ჩატარებულიყო გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა, არ დაგვეკითხა ის პირები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას სიკვდილის თვითმხილველები იყვნენ, არ გამოგვეკვლია სიკვდილის ნამდვილი გარემოებანი და ვითარება. ამასთანავე უფლება მიგვეცა ყველა პირისათვის, რომლებიც საქმის გარემოებებს იცნობდნენ, ასევე გამსახურდიას თანამზრახველებისათვის, შეუფერხებლად გამგზავრებულიყვნენ საქართველოდან. ყველა ეს მოთხოვნა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, რაზედაც მათ უარი ეთქვათ. იმისათვის, რომ გამორიცხულიყო გამსახურდიას გარდაცვალების ნამდვილი გარემოებების მიმართ ყოველგვარი ეჭვი, მიუხედავად რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკური პირობებისა, საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყო ექსპერტიზაში მონაწილეობისათვის მოეწვია ახლო და შორეული საზღვარგარეთის ცნობილი მეცნიერები სასამართლო მედიცინის დარგში, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქალაქ თბილისში, რაც ცნობილი იყო დაინტერესებული მხარეებისათვის. მაგრამ ჩვენმა ძალისხმევამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

ამასთანავე ჩეჩნეთის ხელისუფლების შუამავლობით, კვლავ გრძელდებოდა მოლაპარაკება გამსახურდიას ოჯახის წევრებთან. ამ მიზნით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში არაერთგზის მივლინებულ იქნენ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჩემი, როგორც პროკურორის პოზიცია, ყოველთვის იყო და დარჩა ერთმნიშვნელოვანი, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზებზე უნდა ჩატარდეს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საგამოძიებო მოქმედება, რაც ჩვენ მიერ არაერთხელ იქნა საჯაროდ გაცხადებული.

საქართველოსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის სამთავრობო დონეზე მოლაპარაკების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოცემული საკითხის პოლიტიკური საშუალებებით მოსაწესრიგებლად. მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გათვალისწინებული იქნა აგრეთვე საზოგადოების ინტერესი, რეალურად დადგენილიყო გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი და ვიდრე ამის შესაძლებლობა კიდევ იყო, აღმოგვეჩინა მისი ნეშტი. მიღებული გადაწყვეტილებით, ნეშტის აღმოჩენის შემთხვევაში მოხდებოდა დაკრძალვის ადგილიდან მისი ამოღება, ამოცნობა და ვიზუალური დათვალიერება.

17 თებერვალს დელეგაციის წევრებთან ერთად ჩამოსულმა, გამსახურდიას ოჯახის რწმუნებით მოვლინებულმა მათი დაცვის მუშაკმა, რომელიც გარდაცვალების გარემოების თვითმხილველი იყო და მონაწილეობდა მის დაკრძალვაში, გვიჩვენა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის ეზოში ფარდული, სადაც დაკრძალული იყო გამსახურდიას ნეშტი. მოხდა დაკრძალვის ადგილიდან გამსახურდიას ნეშტის ამოღება. გვამის გარეგნულ დათვალიერებაში ჯერ ჯიხაშკარში, შემდეგ კი სენაკში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ცნობილი მედიკოსები, აკადემიკოსები ვახტანგ ბოჭორიშვილი, თამარ დეკანოსიძე, პროფესორი ზურაბ კაპანაძე, რესპუბლიკის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის უფროსი ზაზა ოქრუაშვილი, სხვა სპეციალისტები, აგრეთვე პროფესორი გურამ შარაძე, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები. ცხედრის ამოცნობაში მონაწილეობას იღებდნენ გამსახურდიას მეუღლის ახლო ნათესავი და დელეგაციის წევრები. დადგინდა, რომ გარდაცვლილი ნამდვილად ზვიად გამსახურდიაა, მოხდა აღნიშნული პროცედურის შესაბამისი ვიდეოფოტოფიქსირება, რის შემდეგ შეთანხმების შესაბამისად, სენაკის აეროდრომიდან გამსახურდიას ნეშტი გადაასვენეს ქალაქ გროზნოში.

მიუხედავად იმისა, — თქვა საუბრის დასასრულს ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა, — რომ გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის ჩაუტარებლობამ გამოძიება რიგი სიძნელეების წინაშე დააყენა, იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას ჭეშმარიტების დასადგენად.

### წიგნის თარო

## გენერლებად არ იბადებიან

ЛЕВАН ДОЛИДЗЕ
ГЕНЕРАЛАМИ НЕ РОЖДАЮТСЯ

ახლა დასახელებული წიგნი, რომელმაც ჯერ კიდევ დაწერამდე გამოიწვია დიდი ინტერესი. წიგნი კი დაწერა ჟურნალისტმა ლევან დოლიძემ, რომელიც ჩვენთან რედაქციაში მოვიდა 60-იანი წლების დამდეგს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. მოვიდა თავისი სამხედრო თემით, რომლისთვისაც, როგორც თვითონ ამბობს, არასოდეს უღალატია. „გენერლებად არ იბადებიან", — ოცი წლის შრომის ნაყოფია. იგი ეძღვნება ავტორის მამის ხსოვნას, რომელიც 1942 წელს ხარკოვის მისადგომებთან დაიღუპა.

მუშაობის პროცესში ავტორმა შეაგროვა მასალები საქართველოს მკვიდრ 170 გენერალსა და ადმირალზე, აგრეთვე იმათზეც, ვინც დაბადებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამ დოკუმენტურ-ლიტერატურული ნარკვევების მიღმა ჩანს ჟურნალისტი-მკვლევარის მრავალი წლის ძიება სამხედრო არქივებში, ფონდებში, არცთუ იშვიათად „სრულიად საიდუმლოდ" გრიფით. იყო მივლინებები, რომ იტყვიან, ცხრა მთას იქით, ამაღელვებელი შეხვედრები გამოჩენილ მხედართმთავრებთან, საუბრები მუზეუმებში, გაუთავებელი მიწერ-მოწერა, ზოგჯერ ერთი სტრიქონის, ფაქტის, ფოტოსურათის მოპოვებისთვის.

ლევან დოლიძის პირველმა წიგნმა ქართველ გენერლებზე მზის სინათლე ჯერ კიდევ 1986 წელს იხილა. იგი თვალის დახამხამებაში გაიყიდა. მაშინ წიგნი გამოიცა ქართულ ენაზე. ამჯერად წიგნი დაისტამბა რუსულად, რათა საქართველოს სახელოვან შვილებზე ნაამბობი „სხვამაც" წაიკითხოს.

ეს არის პირველი ცდა რუსულ ენაზე ქართველი მხედართმთავრების ღვაწლის გამომზეურებისა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში, შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში. ავტორის მიერ პირველად არის შედგენილი სრული სია, აქვეა ფოტოსურათები ყველა გენერლისა და ადმირალისა, რომლებმაც მიიღეს მაღალი წოდებები 1940-1993 წლებში.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ავტორთან ერთად მადლობა ვუთხრათ გამომცემლობა „ზაკავკაზსკიე ვოენიე ვედომოსტის", მის დირექტორს, წიგნის რედაქტორს ვალერი კაკუევს, ყველა ორგანიზაციასა და პირს, ვინც მორალურად და მატერიალურად მხარში ამოუდგა ავტორს ამ საინტერესო წიგნის დასტამბვაში.

**იერემია არსენიშვილი.**

## თითქოს დოდო აბაშიძე გაცოცხლებულიყოს...

ახლახან თბილისის კინოს სახლში გაიმართა მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება — დოდო აბაშიძის დარბაზის დამფუძნებელი კრება. კრების თავმჯდომარემ, ბ-ნმა მალხაზ შევარდნაძემ ვრცლად ისაუბრა გაერთიანების მიზნებსა და ამოცანებზე, სამომავლო გეგმებზე.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლებს, რომლებიც ელფერს მატებდნენ თბილისსა და მთლიანად საქართველოს. შემდეგ შეიმუშავეს დღის წესრიგი, რომლის თანახმადაც განიხილეს და დაამტკიცეს დარბაზის წესდება და პროგრამა, აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანო. დოდო აბაშიძის დარბაზის თავმჯდომარედ არჩეულია ბ-ნი ნიკოლოზ კორინთელი, თავმჯდომარის მოადგილეებად ნოდარ (კუკუნა) იაშვილი და შოთა დგებუაძე.

აირჩიეს დარბაზის გამგეობა: გურამ ლორთქიფანიძე (გამგეობის თავმჯდომარე), ირაკლი პეტრიაშვილი (გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე), ლილი ხუბულაშვილი (გამგეობის მდივანი), დევი აბაშიძე, ვახტანგ ლოლაძე, გოგი გამცემლიძე, კარლო ადეიშვილი, გიზო ნიშნიანიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, რეზო ჩხეიძე (ჩხიკო), რეზო ჩხეიძე (რეჟისორი), ზურაბ ლეჟავა, მიხეილ ლაშაშვილი, ზაზა აბაშიძე, მალხაზ შევარდნაძე, დათო იოსელიანი, გიორგი ტაბიძე, არჩილ მორჩილაძე, ივანე მელიქიშვილი, გოგა ერისთავი, ილია მაღალაშვილი, ზურაბ ქავთარაძე. საკონტროლო კომისიაში შევიდნენ: ზაზა მეცხვარიშვილი, გოჩა ბარძიმიშვილი, ტატო ჯანაშია.

კრების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარეს, ცნობილ კინომსახიობს **გურამ ლორთქიფანიძეს**, რომელმაც საუბარში, კერძოდ, აღნიშნა:

— დარბაზის სურვილია უმასპინძლოს ყველას, ვინც დოდო აბაშიძეს — ამ უნიჭიერეს მსახიობსა და გულმხურვალე მამულიშვილს იცნობდა. დოდო აბაშიძე ხომ, უპირველესად, ნაღდი თბილისელი, იმ ტრადიციების დამცველი კაცი იყო, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, მივიწყებას ეძლევა, თანდათან ქრება „ქალაქელი კაცის" ფენომენი, ანუ რაინდული სული, ურთიერთგატანა, სხვა ერებისადმი პატივისცემა და კიდევ ბევრი სამაგალითო რამ, რაც დღეს ასე მოგვენატრება... დარბაზი ეცდება ხელი შეუწყოს მათ აღორძინებას. მაგალითად, რა ჯობდა თბილისურ ოჯახურ შეხვედრებს, დარბაისლურ სჯაბაასსა და მომავალზე ფიქრს. იქნებ ეს ტრადიციაც აღადგინოს დარბაზმა. და ეს ყოველივე უნდა გაკეთდეს დოდო აბაშიძის თვალით — ის როგორ გააკეთებდა, როგორ მოგვეწონებოდა...

ვფიქრობთ, დავაწესოთ დოდო აბაშიძის სახელობის პრემია, გამოვცეთ ამ კოლორიტული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბუკლეტი, იმედი მაქვს, როგორც ყოველ კეთილ წამოწყებას, ჩვენს ჩანაფიქრსაც მხარს დაუჭერს ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია. სასიხარულოა, რომ „დოდო აბაშიძის დარბაზის" დაარსების იდეა ახალგაზრდებს მოუვიდათ. ისინი არიან ყველაფრის ორგანიზატორები და ჩვენ, ხანშიშესულნი, ძვირფასი დოდოს მეგობრები, მხოლოდ ვამხნევებთ და, ხანდისხან, რჩევასაც ვაძლევთ ამ გულანთებულ ყმაწვილებს.

დარბაზში ვიწვევთ ყველას, ვინც ქართული ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნებაზე ფიქრობს, ვისთვისაც ძვირფასია დოდო აბაშიძის სახელი, ყველა სულმნათი, ნაღდი თბილისელის ხსოვნა.

### აღსდექ, საქართველო!

## უმუშევრები შეხვდებიან ჟურნალისტებს

**19 თებერვალს** 14 საათზე საქართველოს უმუშევართა მოძრაობის საინიციატივო ჯგუფი აწყობს შეხვედრას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან, განათლებისა და კულტურის მუშაკებთან. განიხილება მოქალაქეთა სოციალური დაცვის საკითხები.

დაინტერესებულ პირებს ვიწვევთ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სააქტო დარბაზში (თბილისი, ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა, 2, მე-3 სართული).

ფირმა
«A&Co»
მოსახლეობისაგან იღებს სესხებს
თვიურად 20 პროცენტის
დარიცხვით 1, 3 და 6 თვის ვადით.
დაწვრილებითი ცნობებისათვის
მოგვმართეთ
შემდეგ მისამართზე:
ი. ჭავჭავაძის 49
(სპორტკომიტეტის შენობაში) მე-5 სართული
ტელ: 29-29-05

### ხსოვნა

## გურამ უგრეხელიძე

ქართულმა საზოგადოებრიობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა, [illegible] ასაკში [illegible] რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, იუსტიციისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე გურამ უგრეხელიძე. იგი შვილი გახლდათ ცნობილი იურისტის პლატონ უგრეხელიძისა, რომლის ოჯახში, ქუთაისში, თავს იყრიდა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოება, მათ შორის აკაკი წერეთლისა. ასეთმა გარემომ უცილობლად ზეგავლენა იქონია მომავალი მოღვაწის ჩამოყალიბებაზე.

გურამ უგრეხელიძე გამორჩეული წარმომადგენელი იყო იმ იურიდიული სკოლისა, დიდმა ქართველმა განმანათლებლებმა — ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, ზოზო ნანეიშვილმა, იროდიონ სურგულაძემ, ალექსანდრე ვაჩეიშვილმა რომ დააფუძნეს თბილისის უნივერსიტეტში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, შესანატრი ცოდნა და განათლება განსვენებულმა მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებების სამართლიანი დაცვის მსახურებას მიუძღვნა. დახვეწილი ინტელიგენტი, მინდობილი საქმის ნიუანსებში ყოველთვის დეტალურად გარკვეული ადვოკატი, სასამართლო დაცვის ტაქტიკასა და ხელოვნებას უბადლოდ რომ ფლობდა, პირადი ქცევის წესით, მჭევრმეტყველებით, საზოგადოებას რომ ხიბლავდა, განთქმული იურისტების — ოსიკო ბარათაშვილის, შალვა მესხიშვილის, ბიძინა ბარათაშვილის, ანდრო გელოვანისა და სხვა ოქროპირთა გვერდით ყოველთვის ამშვენებდა ქართველ იურისტთა დიდ ამქარს. მისი სამოღვაწეო დევიზი იყო სიმართლისათვის შეურიგებელი ბრძოლა. გურამ უგრეხელიძის მეცადინეობით არა ერთ საქმეს მოეფინა ნათელი და ამის კვალობაზე უზეიმია სამართლიანობას. მეორე მსოფლიო ომში მისი უშუალო მონაწილეობაც სამართლიანობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. სწორედ ამ თვისებათა გამო მადლიერი საზოგადოების ხსოვნაში მან სამუდამოდ დაიმკვიდრა უღალატო პროფესიონალისა და ნამუსიანი კაცის სახელი. ბატონი გურამი შემცვლელი თაობის მასწავლებელიც გახლდათ, ასე დაუმადლებლად რომ გადასცემდა მას საკუთარ გამოცდილებას.

აღსანიშნავია ბატონ გურამ უგრეხელიძის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ღვაწლი. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერულ დონეზე, პოლემისტური შემართებით დაწერილი მრავალი პუბლიკაცია პოლიტიკის, მორალის, იურისპრუდენციის, ესთეტიკის, ეროვნული მოძრაობისა თუ თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებზე. ქართულ მთარგმნელობით საგანძურს ამშვენებენ უშუალოდ ორიგინალიდან შესრულებული მისი თარგმანები შექსპირის, ბაირონის, შელის, ედგარ პოს, ლონგფელოს, აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის პოეზიის ნიმუშებისა.

ამ ინტელექტუალური და ზნეობრივი მონაგარის კვალობაზე ბატონ გურამ უგრეხელიძის სახელი სამარადჟამოდ დარჩება თანამედროვე ქართული სამართლებრივი ცხოვრების ისტორიაში.

**საქართველოს იურისტთა კავშირი; საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.**

## დავით მაჭავარიანი

აღარ არის დავით მაჭავარიანი — ჩვენი დათო, დათუნა!.. 57 წლის ასაკში შეწყდა მისი სიცოცხლე!..

გაუერანებულ, სისხლისაგან დაცლილ სამშობლოზე დარდით, ახლობლებზე, ვერისუბნელ მეგობრებზე ფიქრით, შორს, მოსკოვში დალია სული ჭეშმარიტმა თბილისელმა ვაჟკაცმა...

სულ გადმოსვლას ლამობდა, სულ აქეთ მოიჩქაროდა... საცაა, ჩემი ირაკლი სკოლას დაამთავრებსო... საცაა, ჯარს მოივლისო... ქართველად ვზრდი, რომ იცოდეო...

აღარ დასცალდა!..

დათო მაჭავარიანი ათ წელიწადზე მეტ ხანს ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იყო მოსკოვში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც დაამთავრა. მწერლური ნიჭი წინაპართაგან მოსდგამდა, ამაყობდა, ცნობილი მწერალი-იუმორისტის შალვა შარაშიძის (თაგუნას) შვილიშვილი რომ იყო. საერთოდ, ამაყობდა ტრადიციული ქართული ოჯახიშვილობით, დიდი სანათესაოთი და სამეგობროთი...

რედაქციისათვის გადმოცემულ მასალებში ზედმიწევნით მჟღავნდებოდა ხოლმე დათო მაჭავარიანის გულქართლობა და რომანტიკული ბუნება... რა აღტაცებით, რა პატრიოტული შემართებით მოგვითხრობდა იგი მოსკოვში ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების წარმატებებზე... ტელეფონთან რიგი იდგა: — დათუნა, გენაცვალე, ესა და ეს წამალი იქნებ გააჩერხო, აქ ვერსად ვიშოვე!.. — დათო, თუ ძმა ხარ, იმ კვირაში მოვდივარ და სასტუმრო დამიჯავშნე... დაგირეკავ!..

დათო წამლისთვის დარბოდა, სასტუმროს შოულობდა, აეროდრომზე მიიჩქაროდა... ხვდებოდა... აცილებდა... ქართულ სულს და გულს ყველას უნაწილებდა... თბილისში ჩამოვიდოდა და კიდევ იქით გვეპატიჟებოდა, უძვირფასესი დისა და სიძის ოჯახით ამაყობდა... ბრწყინვალე აღნაგობას დარბაისლური მჭევრმეტყველება უხდებოდა, და თუ საუბარში მოსკოვურ ანეგდოტებსაც შეურთავდა, მის გარშემო ერთიანად სიხალისე ისადგურებდა.

რა თქმა უნდა, ქართული კულტურის მატიანეა მისი შესანიშნავი ჟურნალისტური ნაშრომ-ნაღვაწი, დოკუმენტური ფილმების კინოსცენარები; ლიტერატურულ პრესას შემორჩა მისი რამდენიმე საყურადღებო მოთხრობაც... ამ ნაღვაწიდან ერთი მშვენიერი წიგნი გამოვა, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოში, საერთოდ, წიგნისთვის მოიცალა ვინმემ...

და მაინც, დათო მაჭავარიანის მთავარი დანატოვარი მისი ღირსეული მამულიშვილობა და კაცურ-კაცობაა, რომელიც ყოველთვის გაუნათებს გზას მის მომავალს...

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ჩემო ძმაო, უტკბილესი ქართლის მიწა!..

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## თურქმენული ძღვენი მარნეულში

**სასიხარულოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, ამ ბოლო ხანს, პოლიციის ადგილობრივმა ქვედანაყოფებმაც აუბეს მხარი, გამოცოცხლდნენ და გააქტიურდნენ. კაცმა რომ თქვას, სხვანაირად დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმატებებს ვერ მივაღწევთ. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო, ამბობენ. ამიტომ გამიხარდა, როცა წინა კვირას რამდენიმე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ საკუთარი ინიციატივით, დამოუკიდებლად განახორციელა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები და საკმაოდ შედეგიანადაც.**

### დამნაშავეთა მექა

**მძიმე**, დუხჭირი დრო უდგას დღეს საქართველოს ერთ-ერთ ხელთუქმნელ ოაზისს — ქვემო ქართლს. უსინათლობაზე, უსაწვავობასა და ქორვაჭართა ხელში ოქროს ფასად ღირებულ პურზე მეტად, დამნაშავეობის მოძალებამ გაამწარა და გააჩანაგა აქაური მოსახლეობა. მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამსახურების ერთიანმა ოპერაციებმა საფუძვლიანად შეარყია დამნაშავეთა სამყაროს ძალაუფლება, მაგრამ ერთი გამარგვლა როდის კმაროდა სარეველებისგან ბოსტნის გამოსახშირად.

... ხვავრიელად თოვდა.

მარცვლეულის ნათესებს არგებსო, ნაგავს და ჭუჭყს დაფარავსო, — უხაროდათ მარნეულელებს.

ოპერაცია, ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოსა და მარნეულის პოლიციის ძალებით განთიადისას დაიწყო. ოპერჯგუფს წინ ტანკი მიუძღოდა, ყველა შეიარაღებული იყო, მაგრამ მაინც ფრთხილობდნენ, ოპერაციის ჩავარდნისა ეშინოდათ.

ესეც სოფელი სიონი. ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე წუთიც და ჩვენს დროში გაუგონარი ამბის მოწმე გავხდებოდით. აქ აღმოაჩინეს... მონა, ნამდვილი, კლასიკური მონა. თურმე ამ სოფლის ფერმის გამგეს თავისმა ძმამ ავტომანქანა, ტელევიზორი, ან რაღაც სხვა ნივთი კი არა, არამედ ცოცხალი მონა „უფეშქაშა" თურმე ამას წინათ.

აქვე ნაქურდალი სატვირთო ავტომანქანა „ზილიც" იპოვეს...

არც სოფლებში ჩანახსა და შაუმიანში მისულან ტყუილად: ლეონიდ არზუმანიანი ავტომანქანების გატაცებისათვის იძებნებოდა, ზაქარია ზაქარიანი — ქურდობისათვის.

გოგი ფილფანი ტრაქტორების ქურდობაში დაოსტატებულა. იკითხავთ, ტრაქტორი რაში დასჭირდაო?! — დიზელის ძრავებს იღებდა და ავტობუსის მძღოლებთან ვაჭრობდა — საკმაოდ სარფიანი „საქმიანობაა".

ნარკოტიკულმა ნივთიერებებმა ხომ მთლად წალეკეს ქვემო ქართლი. საიდან აღარ ჩამოდიან აქ „წამლის" გასასაღებლად თუ შესაძენად. 34 წლის აბდურასულ იაზბერდიევი თურქმენეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. მას ჩხრეკისას 51 გრამი ოპიუმი და 500 გრამი მარიხუანა ჩამოართვეს. ამიტომ რაღა გასაკვირია, თუ რუსთაველ ნიზამ ნამაზოვსა და მუხთარ მუსაევსაც „შავ" ბაზარზე დაედოთ ბინა. ისინიც ოპიუმით ვაჭრობდნენ. როგორც სპეციალისტებმა თქვეს, იაზბერდიევის საწამლავის საერთო ღირებულება, დღევანდელი „შავი" ბაზრის ფასებით, ოთხი მილიონი რუსული მანეთია.

ამ დღეებში მარნეულში „ოპიუმზე" არანაკლებ საშიში საწამლავის — ფალსიფიცირებული სპირტიანი სასმელების რეალიზატორებსაც მიაკითხეს. ნატიკ აბასოვი, მამედ ბაირამოვი, სვეტლანა მამედოვა და სხვები სიამოვნებით სთავაზობდნენ მომხმარებელს ვინ იცის რისგან დამზადებულ „შამპანურსა" და „არაყს".

ასეთია მარნეული — დამნაშავეთა მექა; თუმცა, ამ ბოლო ხანს მას ქვემო ქართლის სხვა რაიონებიც უწევენ კონკურენციას და ღირსეულ მეტოქეობას...

### ერთად უნდა ვებრძოლოთ

### ყაჩაღობამ დაამეგობრა

**შარშან**, დეკემბერში, თეთრწყაროში, კოდის გზაზე, საკუთარ ავტომანქანაში ვარდო პაპუაშვილი მოკლეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ, პროტესტის ნიშნად, თბილისი-ლენინაკანის საავტომობილო გზა გადაკეტა და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა.

მკვლელები 9 თებერვლამდე პარპაშობდნენ. ამ დღეს ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოსა და თეთრი წყაროს პოლიციის ოპერჯგუფმა მიაგნო დამნაშავეთა კვალს და უკლებლივ ყველა დააპატიმრა.

21-22 წლის ბიჭები კახაბერ მეფარიშვილი და გიორგი ბახუტაული კოდელები არიან, ლერი დამბურაჯელი კი — მანგლისელია. სამივენი მარნეულის 26-ე ბატალიონის მებრძოლები იყვნენ.

ძმები ივანე და გიორგი გუჯეჯიანები, კობა ონიანი კი მარაბდელები არიან (აფსუს, არსენა მარაბდელო!).

— თავიდან ეს ორი ჯგუფი ცალ-ცალკე მოქმედებდა, — მითხრა თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ რამინ რამინაშვილმა. — ერთხელ, იმ საბედისწერო დღეს, გავლენის სფეროების განაწილების დროს, შეტაკებულან და განტიარაღებიათ ერთმანეთი, მაგრამ, როცა შეუტყვიათ, რომ ერთ საქმეს მისდევდნენ, შეერთებულან და დამეგობრებულან.

„დაძმაკაცების" შემდეგ ისინი საყაჩაღოდ გზაზე გამოვიდნენ. ვარდო პაპუაშვილმა ავტომანქანა რომ არ გაუჩერათ, ზურგიდან ესროლეს და მოკლეს.

ამ ვაჟკაცებს არა ერთი სხვა დანაშაულის ჩადენაც ედებათ ბრალად...

### „გორული" ბენზინი

**დამნაშავეთა** სამყაროს თავგადასულობამ გორელებიც შეაწუხა. ამიტომ 5 თებერვალს გორის შინაგან საქმეთა სამმართველომ საკმაოდ სოლიდური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება განახორციელა.

პატარძეულის მსგავსად, გორის რაიონის სოფლებშიც მრავლად მოეწყოთ კუსტარული ბენზინსახდელები. აქაც, ჩვეულებრივ, ენერგეტიკულ კრიზისს, უსახსრობას, გაჭირვებას იმიზეზებდნენ, მაგრამ ოპერჯგუფის წევრები ტონობით ნავთობპროდუქტებს რომ პოულობდნენ, ენა ერთმეოდათ.

სოფელ ნაწრეთში, გიორგი გოგინაშვილს ეზოში ორი კუსტარული ბენზინსახდელი აპარატი დაემონტაჟებინა. 800 ლიტრი მზა პროდუქცია — დიზელის საწვავი გასაყიდად გაემზადებინა, 2,5 ტონა კი გამოხდას ელოდა.

მეზობელს არც რეზო გოგინაშვილი ჩამორჩა, ოღონდ ერთი აპარატით დაკმაყოფილებულა. იმასაც ერთ ტონაზე მეტი გადასამუშავებელი ნავთობი უპოვეს.

მსგავს საქმიანობას სვენეთლებიც არ თაკილობდნენ. იური ხუბულურს ცისტერნა, რომელშიც 300 ლიტრი ნავთობი ესხა, „ზილის" ძარაზე დაედგა, 1,7 ტონაზე მეტი კი ჩამოესხა და გამოხდას აპირებდა.

აქეთ, კახეთში, სოსო მახათაძეს, ლევან ბასოშვილსა და ბესიკ ყაჯიაშვილს ნავთობი გამოსახდელად პატარძეულიდან მშობლიურ გურჯაანში გადაჰქონდათ. მინდა ვიკითხო: ცნობილი ოპერაციის შემდეგ, პატარძეულელები ფრთხილობენ, თუ თავიანთი ბნელი საქმეების შესანიღბავად ნავთობის ექსპორტი დაიწყეს?!

ოპერაციის შედეგად, გორის რაიონში უკანონო მფლობელებს დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, ყუმბარები და ქვეითთა საბრძოლო მანქანა ჩამოართვეს. ნაპოვნია არა ერთი ნაქურდალი სატვირთო ავტომანქანაც...

### „SOS"

**ამიერიდან** რეგულარულად გიამბობთ ჩვენს ოჯახებში ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად ხმარებისა და შენახვის გამო დატრიალებული ტრაგედიების შესახებ.

ბოლნისელ 25 წლის მაისა სარქისიანს „რაღაც" არ მოეწონა და საკუთარ ოჯახში ხელყუმბარა აფეთქა. თვითონაც დაიღუპა და თითქმის მთელი ოჯახიც ამოწყვიტა. აფეთქებას შეეწირნენ — მამა და და, ხოლო დედა, ძმა და სხვები კი მძიმედ დაიჭრნენ.

თბილისელი ნოდარ ტუხაშვილი კი ოთახში „შემთხვევით გავარდნილმა" ტყვიამ იმსხვერპლა.

**ზაურ მაჭარაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული იურისტი, ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე

**გურამ უგრეხელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ბატონ მინდია უგრეხელიძეს მამის

**გურამ უგრეხელიძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორის მინდია უგრეხელიძის მამა

**გურამ უგრეხელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.
○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-91-28; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" სასტამბო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА